# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№65 (9896) 2025 წლის 7 მაისი, ოთხშაბათი




იხ. 2 გვ.

# მახრჩობელა აქტი „მეგობრობის“ სახელით

## ამერიკელ „საიდუმლო სახელმწიფოს“ მანქურთებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ფეხებზე ჰკიდიათ!!

**ლევან მახაშვილი:**

საბოლოო ჯამში, რამდენიმე ეტაპია დარჩენილი, ვიდრე თეორიულად, ბოლომდე შევა ძალაში, მაგრამ იმედი გვაქვს, ამ პროვოკაციულ რეზოლუციას პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს!

## ერთხელ და საბოლოოდ გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს!

# ან რევოლუცია, ან პოლიტიკიდან გაქრობა!!!



5

ქუჩის პროტესტს აქვს ორი ვარიანტი: ან რევოლუცია უნდა მოახდინო, რაც, რომც გამოგივიდეს, ქვეყნის დანგრევაზე მიდიხარ, ან პოლიტიკიდან უნდა გაქრე – ამ შემთხვევაში არც ერთი ვარგა და არც მეორე

# საქართველო ვარ მე, შენ, ის — საქართველოს მოქალაქე!



4 5

**თეიმურაზ ქორიძე:**

ბოდიშს ვიხდი, მაგრამ საქართველო არც ხელისუფლებაზე მეოცნებე ოპოზიციაა და არც ძალაუფლების შენარჩუნებაზე მოფიქრალი ხელისუფლება — საქართველო ვარ მე, მრავლისმნახველი, მრავალჭირვარამგადამტანი და ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრალი საქართველოს მოქალაქე.

დიახაც, სწორედ მე უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს და რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება ხვალ. ოპოზიციას კი ვურჩევ, ფრთხილად იყოს და კონსტრუქციულობაზე იფიქროს — ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.

### ბედი მაკკეინის სტი პენდიატისა

## პოლიკარპე კაკაბაძე და ევრიპიდეც ვერ შეძლებენ იმ ტრაგედიის ასახვას, რომელიც დღეს ზურაბიშვილის მე-5 კოლონაშია!



3

# ეს ჩვენი ისტორიაა

**ალეკო ასლანიშვილი:**

## მეგრელთა საქმე

6 7



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ 98 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მათემატიკოსი, საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი

## რევაზ გამყრელიძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს.



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის მთავარი სპეციალისტი, ცნობილი ქართველი მწერალი

## ენვერ ნიჟარაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# თითის ქნევანი ოკეანის გაღმიდან




## აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ „MEGOBAR აქტს“ მხარი დაუჭირა

**კანონპროექტს, სახელწოდებით – „საქართველოს ანგარიშვალდებულების, გამძლეობისა და დამოუკიდებლობის შესაძლებლობების გაძლიერებისა და მობილიზაციის აქტი“ (MEGOBARI) მხარი 349 კონგრესმენმა დაუჭირა, ხოლო მის წინააღმდეგ ხმა 42-მა მისცა. კანონპროექტი აშშ-ის სენატმა უნდა დაამტკიცოს.**

**ცნობისთვის, „MEGOBARI აქტი“ გასულ წელს კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში კონგრესმენმა ჯო უილსონმა წარადგინა, მიმდინარე წელს კი 119-ე მოწვევის კონგრესში ხელახლა წარადგინა კონგრესმენ სტივ კოენთან (დემოკრატიული პარტია), კონგრესმენ რიჩარდ ჰადსონთან (რესპუბლიკური პარტია) და კონგრესმენ მარკ უიზისთან (დემოკრატიული პარტია) ერთად. კონგრესმენების განცხადებით, „MEGOBARI აქტი“ ქართველი ხალხის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავს და სხვა საკითხებთან ერთად, ადამიანის უფლებების დარღვევისთვისა და დემოკრატიის ძირის გამოთხრისთვის, საქართველოს ოფიციალური პირების წინააღმდეგ სანქციებს ითვალისწინებს.**

# მახრჩობელა აქტი „მეგობრობის“ სახელით



## ამერიკელ „საიდუმლო სახელმწიფოს“ მანქურთებს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ფეხებზე ჰკიდიათ!!

**რუსთაველის გამზირზე და მთელ ქალაქში საპროტესტო აქციები ოთხ თვეზე მეტია მიმდინარეობს. რომ შეატყვეს ამ აქციების მხარდამჭერებმა და წამქეზებლებმა ასე არაფერი გამოვაო, ქართველი ხალხი ნერვების ომში საკუთარ იდაყვებს იკვნეტს, მაგრამ მაინც უძლებენო, ახალი მზაკვრობა მოიგონეს – დიდებული ქართული მითოსის გმირ ამირანივით – დღისით რომ ამოკორტნილ გულღვიძლს ძლივს მოიშუშებს, მაგრამ მეორე დილით ისევ რომ მოდის არწივი მისი გულის ამოსაგლეჯად, სწორედ ამნაირად მოგვევლინა გუშინ კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ე.წ. მეგობარი აქტი.**

**2025 წლის 5 მაისს, ჩვენი დროით 6 მაისს, ღამის სამ საათზე, აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ, ე.წ. მეგობარ აქტს უყარა კენჭი.**

კანონპროექტის სახელწოდება სიმბოლურად არის შერჩეული; მისი სრული სახელწოდება არის – **„Mobilizing and Enhancing Georgia's Options for Building Accountability, Resilience, and Independence Act“ – MEGOBARI**, ანუ **„ანგარიშვალდებულების, მედეგობისა და დამოუკიდებლობის ასაშენებლად საქართველოს შესაძლებლობების მობილიზებისა და გაძლიერების აქტი“.**

დებატებისას კონგრესმენმა, კანონპროექტის თანაავტორმა **ჯო უილსონმა,** აღნიშნა, რომ „155 დღეზე მეტია, რაც თავისუფლებისმოყვარული ქართველი ხალხი მშვიდობიანად გამოდის ქუჩებში თავისი ერის მომავლისა და სულის დასაცავად“.

მომავლის და სულის დასაცავადო, მწარედ გაგვეცინება ადამიანს, მაგრამ, მივყვეთ აქტის მხარდამჭერი კონგრესმენების მსჯელობას. მათი აზრით, საქართველო აშშ-ის ტრადიციული მოკავშირეა, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები შეირყა მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ ნაბიჯების გამო, რომლებიც „იმეორებენ რუსეთის ავტორიტარულ ტაქტიკას“ და ქვეყანას ჩინეთსა და ირანთან აახლოებენ.

როგორც ვხედავთ, კანონპროექტი ეხება გარე და შიდა პოლიტიკურ საკითხებს, მაგრამ არა მხოლოდ; აქტში საუბარია, ეკონომიკურ პერსპექტივებზეც. დასკვნა კი ასეთია: თუ ისე არ მოიქცევით, როგორც „მეგობრული“ აქტით გეუბნებით, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთო.

ამ აქტის თუ მკაცრი დატუქსვის გამო „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერებს, გვარამია-მელიას და მათ ამფსონებს, სოციალურ ქსელში ჭიაკოკონა და ტაშფანდური აქვთ გამართული – ხომ გეუბნებოდით, ჩვენი მეგობრები დასჯიან „ქართულ ოცნებას“ ჩვენი დაჩაგვრის გამოო?!..

სამწუხარო ამბავია, ჩვენი სტრატეგიული პარტნორები აშშ-ის კონგრესიდან, რომელთა იმედი უნდა გვქონდეს ჩვენ, ქართველ ხალხს, ემხრობიან ერთი მუჭა დამნაშავე, კრიმინალური რეჟიმის გადმონაშთებს, მათ კაპრიზებს და ჯიუტი ბავშვივით ფეხების ბაკუნს – ხელისუფლებაში დაგვაბრუნეთო, ამას უსმენენ და ელოლიავებიან, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ზოგ-ზოგიერთებს დასავლეთში არ აწყობთ და არ უნდათ საქართველოში მშვიდობა, სტაბილურობა, ქვეყნის შემდგომი განვითარება და ეჭვი გვაქვს, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობის ხმაც, ბოდიში და, ფეხებზე ჰკიდიათ.

ახლა ხომ მაინც ხვდებიან „ქართული ოცნების“ მესვეურები, რომ „ნაცმოძრაობისადმი“ გამოჩენილი ლოიალობით, ეს გარეწრები ძალაუნებურად თავიანთ თამაშში და ხალხის წინააღმდეგ დანაშაულში ითრევენ „ქართულ ოცნებას“ და ცდილობენ ხელისუფლების ერთადერთ ოპოზიციურ ძალად წარმოაჩინონ თავი?

წარმოიდგინეთ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, მოსახლეობაც, ბოლოს და ბოლოს, დაიჯერებს, რომ „ნაცმოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის მართლაც არსებობს რაღაც საიდუმლო გარიგება და შეთანხმება და მოჰყვება ამას სიამოვნებისგან ხელების ფშვნეტა მტრისგან, ქართველი ხალხის რისხვა და აგრესია ორივეს რომ თანაბრად დაატეხავს თავს.

რაში უშლით ხელს მშვიდობიანი საქართველო, რატომ არის ჩვენი ქვეყანა ეკალი ზოგიერთების თვალში, ეს უფრო ვრცლად სასაუბრო თემაა, მაგრამ მეგობრულ აქტს რომ მივუბრუნდეთ, ამ აქტს მეგობარი კი არა, მოსისხლე მტერი თუ შექმნიდა თავისი მეტოქის წინააღმდეგ.

მეტოქე უბრალოდ არ მიხსენებია.

გაიხსენეთ, რამდენი წელიწადია, საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის ხან შიდა ოპოზიცია, ხან გარეშე ლიბერასტები, გვებრძვიან უკრაინის აგრესიულ- ლიბერალური ძალები – გეი-პარადი ჩვენ თუ ჩავატარეთ, თქვენ, რა, ჩვენზე უკეთესები ხართო? ბოლო ხანებში ომისკენაც გვიბიძგებენ, გვებრძვიან დასავლეთელი ‘კეთილისმყოფელები“ ოჯახის ინსტიტუტის დასაკნინებლად, გვებრძვის გლობალური „ომის პარტია“, გვებრძვის **Deep State**, გვებრძვიან ეკონომიკური სანქციებით, იდეოლოგიურად, მენტალურად, ბრძოლა მიმდინარეობს ტრადიციების მიმართ, ეროვნებული ფასეულობების წინააღმდეგ, ეკლესიის დასაკნინებლად და ა.შ. და ამგვარად..

მაგრამ ყველამ ვიცით, რომ არავინ ებრძვის იმას, ვინც არაფრის მქონეა და ვისაც არავითარი ღირებულება არ გააჩნია.

მართალია, გვაქვს უმძიმესი ტერიტორიული პრობლემები, კატასტროფული დემოგრაფიული ვითარება, მაგრამ საქართველო მაინც დგას ფეხზე, მაინც არის ანგარიშგასაწევი ძალა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

თუ გვინდა, ამ გამოწვევასაც გავუძლოთ და კიდევ ერთი ტალღა ამ მძაფრ პოლიტიკურ ოკეანეში გადავლახოთ, ქართველი ხალხი უნდა შევიკრათ ერთ მუშტად.

ბევრჯერ თქმულა და მეც გავიმეორებ: „ქართულ ოცნებას“ უფრო დიდი და ერთგული მოკავშირე, ვიდრე ქართველი ხალხია, არ ჰყავს და თუ ეს მოკავშირე მას გაწუდგება, სხვა ძალა, რომელიც მას და ამ ქვეყანას დაშლისა და განადგურებისგან დაიცავს, უბრალოდ, არ არსებობს.

ერთობის დროა!ახლა ერს ვერ შეკრავს ბიძინა ივანიშვილი, ამას ვერ გააკეთებს „ქართული ოცნება“, ვერ გააკეთებს ვერც ერთი ავტორიტეტული პოლიტიკური ძალა ან ინდივიდუალური პირი. ეს არის ჩვენი, ქართველი ხალხის გასაკეთებელი, ჩვენ უნდა დავასრულოთ ეს მრავალწლიანი ბრძოლა – გამოვიდეთ და ვთქვათ ჩვენი სათქმელი, ვთქვათ ხმამაღლა: თუ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ნუ ეხებიან ჩვენს სუვერენიტეტს, არავის საქმე, მით უფრო ოკეანისგაღმელთა საქმე არ არის საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური თუ პარტნიორული ურთიერთობები მეზობელ და არამეზობელ ქვეყნებთან, მორჩით ჩვენი სახელმწიფოებრიობის რყევას და მისი სუვერენიტეტის ეჭვქვეშ დაყენებას!

**ერთხელ და საბოლოოდ გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს!**

**მედეა ამილახვარი**



# ერთხელ და საბოლოოდ გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს!

# ბედი მაკკეინის სტიპენდიატისა

**სალომე ზურაბიშვილი „ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების“ მეორე დღეს კოალიციური მთავრობის დაკომპლექტებას აანონსებს. ექს-პრეზიდენტი მმართველ ძალაში რყევების ბევრ ნიშანს ამჩნევს(?!), რაც უმყარებს აზრებს, რომ შესაძლებელია, მოვიდეს ხელისუფლებაში, საიდანაც, მისი აღქმით, არც კი წასულა.**




## პოლიკარპე კაკაბაძე და ევრიპიდეც ვერ შეძლებენ იმ ტრაგედიის ასახვას, რომელიც დღეს ზურაბიშვილის მე-5 კოლონაშია!

**„მზად ვართ, ყველა ახალჩამოყალიბებული პარტია მივიღოთ, თუკი დაეთანხმებიან ამ პლატფორმის წესებს. ჩვენ თუ სერიოზულად ვუდგებით ამ საკითხს, რომ საპარლამენტო არჩევნები უთუოდ დაინიშნება, მზად უნდა ვიყოთ არა მხოლოდ არჩევნებისთვის. ესეც იყო საკითხი, რომელიც აქ დაისვა და რომელზედაც ჩვენი პოზიციები გავაჟღერეთ. თუმცა, ასევე, მზად უნდა ვიყოთ არჩევნების შემდეგი დღისთვის, ანუ კოალიციური მთავრობისთვის. ეს პროცესი, რაც მიმდინარეობს, სწორედ ამის მზადებაა. ჩვენ ძალიან მწირი გამოცდილება გვაქვს და ეს ყველამ იცის“,** — განაცხადა **სალომე ზურაბიშვილმა.**

მართალია, ზურაბიშვილი კოალიციური მთავრობისთვის ემზადება და პრეზიდენტად საკუთარ თავს განიხილავს, მაგრამ რადიკალურ ოპოზიციას ზურაბიშვილი-ბესელიას არც კოალიციური მთავრობა აინტერესებს და მით უმტეს, არც მისი პრეზიდენტობა.

ზურაბიშვილის კოალიციური მთავრობიდან მხოლოდ ერთი მინისტრობის კანდიდატის ვინაობაა ცნობილი — ეკა ბესელია, რომელსაც იუსტიციის მინისტრის პორტფელს ჩააბარებს. „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა პეტრე ცისკარიშვილმა არ იცის, რას ემსახურება კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე მოლაპარაკებები და თვლის, რომ ამ ეტაპზე კოალიციური მთავრობის ფორმირების საკითხი დროულად არ მიაჩნია.

**„კოალიციურ მთავრობებს ადგენენ მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩატარდება და გარკვეული პარტიები კოალიციის შესაკვრელად საკმარის მანდატებს მოაგროვებენ. თეორიულად შესაძლებელია, წინასწარ, არჩევნებამდეც გაიმართოს კოალიციური მოლაპარაკებები, მაგრამ, როგორც წესი, საპარლამენტო დემოკრატიაში მას შემდეგ იმართება, რაც არჩევნები ჩატარდება. კოალიცია არის საპარლამენტო შესაკრავი, რათა გქონდეს ხმათა უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში. აქედან გამომდინარე, მე ზუსტად არ ვიცი, რას ემსახურება ეს კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე მოლაპარაკებები.**

**ერთიანობაზე თუა საუბარი, ჩვენ ერთიანობას მხარს ვუჭერთ პირველი დღიდანვე — ოპოზიციის ერთ ძალად, ერთ მუშტად შეკვრას, გაერთიანებას, გაძლიერებას და ამ დამატებითი, შეძენილი პოლიტიკური რესურსების შესაძლებლობებით გაფართოებული საპროტესტო ტალღით, მათ შორის, დაპირისპირებას რუსულ რეჟიმთან. კოალიციური მთავრობის ფორმირების საკითხები ამ ეტაპისთვის დროულად არ მიმაჩნია“,** — განაცხადა **პეტრე ცისკარიშვილმა.**

ვიცე-სპიკერის **გია ვოლსკის** განცხადებით, რადიკალური ოპოზიციისთვის კოალიციური მთავრობა მიმზიდველია, უნდათ, საზღვარგარეთელ პატრონებს დაანახონ, რომ დემოკრატიისთვის იბრძვიან და მათთვის რევოლუცია დღის წესრიგში არ დგას.

**„უნდათ, თავის საზღვარგარეთელ პატრონებს დაანახონ, რომ ისინი დემოკრატიისთვის იბრძვიან და მათთვის დესტაბილიზაცია, რევოლუცია დღის წესრიგში არ დგას. რაც მთავარია, მათი მიზანია, ქართველი საზოგადოება მოატყუონ. რომელ კოალიციაზე შეიძლება იყოს საუბარი, როდესაც ყველას ერთი ნიშანი სცხია — ეს არის კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ იდეა, რომ საქართველოში ხელისუფლებაში დესტაბილიზაციის და რევოლუციის გზით მოვიდნენ. კოალიციის იდეის წარმოშობა ხალხისთვის სატყუარა, გარკვეული პიარული ბალანდაა, რომ ის ადამიანები გამოკვებონ, რომელთაც არ ესმით, რა ხდება რეალურად და რაც შეიძლება მეტი ქუჩის მებრძოლი შემატონ თავიანთ ბნელ იდეებს“,** — განაცხადა **გია ვოლსკიმ.**



* * *

პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** დიდი ხანია გაუჩნდა განცდა, რომ პოლიტიკოსების განცხადებებს სერიოზულად არ უნდა მოეკიდოს ადამიანი და არა თუ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, აღმოჩნდა, რომ აგერ, აშშ-ის მოქმედი პრეზიდენტის განცხადებებსაც სერიოზულად არ უნდა მოეკიდო.

**„ტრამპი ამბობდა, რომ ერთ კვირაში დავამთავრებ ომსო და ახლა იძახის, გაგრძელდება ომიო. ანუ, აღმოჩნდა, რომ პოლიტიკოსებს, ეტყობა, ყველა ქვეყანაში სჩვევიათ არასერიოზული დამოკიდებულება განცხადებებთან დაკავშირებით. ძალიან ხშირად მათ განცხადებებში აინტერესებთ ამ განცხადებებიდან შექმნილი იმიჯი და არა ის, რა მოჰყვება განცხადებას მერე საქმის თვალსაზრისით. ანუ განცხადების გაკეთებით იქმნება იმიჯი, თითქოს სალომე ზურაბიშვილი რაღაცა პროცესებს უდგას სათავეში და მართავს“,** — აცხადებს პოლიტოლოგი.

რამაზ საყვარელიძის განცხადებით, ოპოზიციური პარტიების განცხადებების დიდი ნაწილი, თუ მთლიანად არა, გათვლილია უცხოეთის აუდიტორიაზე და ასევეა ზურაბიშვილის შემთხვევაში, რომელიც უფრო მეტად ითვალისწინებს უცხოეთის აუდიტორიას, ვიდრე სხვები.

**„განცხადებაც რეალურია და ზურაბიშვილის ასეთი დირექტორობაც რეალურია. მერე ამას რა მოჰყვება, ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. მთავარია, განცხადებამ ახლა შექმნა შთაბეჭდილება თუ არა და თან მნიშვნელობა აქვს იმას, ვისთვის გაკეთებული განცხადებაა, საქართველოს მოსახლეობისთვის, ოპოზიციისთვის, თუ უცხოეთისთვის.**

**მგონია, რომ უცხოეთისთვის, რომელმაც არც მოსახლეობის განწყობები იცის და არც ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარე პროცესები. ამიტომ, ისინი ადვილად დაიჯერებენ, რომ ამ განცხადების იქით რაღაცა რეალური განზრახვა დგას ზურაბიშვილის მხრიდან. მაგრამ მე ასეთი განცდა არ მაქვს“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **რამაზ საყვარელიძემ.**

ანალიტიკოს **ედიშერ გვენეტაძის** დაკვირვებით, ზურაბიშვილს ასეთი შინაარსის განცხადებებს აკეთებინებენ მისი გარე პატრონები, რომელსაც მიღებული აქვს დავალება და ფული.

**„ის არის მაკკეინის ფონდის სტიპენდიატი. მას ავალებენ და პასუხისმგებელია იმათ წინაშე, რომ ფორმალურად მაინც გააკეთოს რამე განცხადება, ვინაიდან, ძალიან დიდი ფულია შეჭმული. თქვენ წარმოიდგინეთ, 28 ნოემბიდან დღემდე როგორ დაბოდიალობენ და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ როგორი ქმედებებს ახორციელებდნენ ზურაბიშვილი და მე-5 კოლონის წარმომადგენლები.**

**სალომე ზურაბიშვილმა ძალიან კარგად იცის, რომ არავითარი პოლიტიკური წონა არ გააჩნია ქვეყანაში. ამავე დროს, ისიც კარგად იცის, რომ ძალიან მძიმე სიტუაცია აქვს მას ოპოზიციაში — მე-5 კოლონა ფიქრობდა მის გამოყენებას და შემდეგ გადაგდებას, რომელიც არ გამოუვიდათ. მათ უნდოდათ მოსულიყვნენ სეტყვის სახით, მაგრამ დახვდათ ქვა. ამ ქვამ ისინი გაანაწევრა, გააცალკევა და ბოლოს და ბოლოს დარჩა ის ოდიოზური ფიგურები, რომლებიც აღმა-დაღმა დარბიან და ყვირიან რაღაცა გაუგებარ ფრაზებს რუსთაველზე“,** — აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

ანალიტიკოსის შეფასებით, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ქუჩაში გამოდიან იმ შემორჩენილი თანხების გამო, რომელიც მე-5 კოლონას გააჩნია.

**„ადამიანები მათ მხოლოდ და მხოლოდ თანხის გამო გამოჰყავთ. ამის დამადასტურებელი მაგალითი მინდა გითხრათ — ჩვენ გვახსოვს სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერი, რევოლუციონერი დოიაშვილი, რომელიც დადიოდა რეგიონებში და რეგიონებიდან გვპირდებოდა რევოლუციას. ამ დროს, დოიმ, რომ იტყვიან, „მოხია“ იქ, სადაც დაინახა ფული, წავიდა ჩინეთში. ვფიქრობ, რომ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას „მძიმე დღეები“ დაუდგება, დოი რომ ჩავა იქ, ასევე წაყვანილი ჰყავს ვიღაცა ქალი ნანა ბუთხუზი, ეს არის კომედია — ამოატრიალებენ და გადმოატრიალებენ იქაურობას.**

**აი, ასეთ ტრაგიკომედიურ სიტუაციაში არიან მოხვედრილი. ვფიქრობ და ამდენი ხანია ვლაპარაკობ, რომ ერთი პოლიკარპე კაკაბაძეა საჭირო, რომელიც მათ სიტუაციას ტრაგიკომედიაში ასახავს, მაგრამ, ჩემო ბატონო, ევრიპიდეც რომ მოიყვანო, ვერ შეძლებს იმ ტრაგედიის ასახვას, რომელიც დღეს ზურაბიშვილის მე-5 კოლონაშია“,** — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას **ედიშერ გვენეტაძემ.**

მოამზადა
**თამთა ქარჩავამ**



## ლევან მახაშვილი: იმედი გვაქვს, ამ პროვოკაციულ რეზოლუციას პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს...

**ე.წ. მეგობრობის აქტი ყველაფერია, გარდა მეგობრობისა. არაერთხელ ვახსენეთ, რომ იგი ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს მოსახლეობის ინტერესებს, ასევე აშშ-ის ახალი ადმინისტრაციის ხედვას საქართველოსა და რეგიონთან დაკავშირებით,** — ამის შესახებ პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ **ლევან მახაშვილმა** განაცხადა.

**„თეორიულად, თუ იგი შევა ძალაში, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად დააზიანებს ორმხრივ ურთიერთობებს და სწორედ ეს არის გათვლა იმ არაფორმალური ძალების და გავლენების, რომლებმაც ინერციით მაინც გაიტანეს ქვედა პალატაში.**

**საბოლოო ჯამში, რამდენიმე ეტაპია დარჩენილი, ვიდრე თეორიულად, ბოლომდე შევა ძალაში, მაგრამ იმედი გვაქვს, ამ პროვოკაციულ რეზოლუციას პრეზიდენტი ხელს არ მოაწერს და ამით შეძლებს თავისი დანაპირების შესრულებას, რომ აშშ-ში „დიფ სთეითი“ დაამარცხოს. ამის იმედს ის განწყობები გვაძლევს, რაც აშშ-ის ახალ ადმინისტრაციას იმ ფორმალური თუ არაფორმალური კომუნიკაციიდან გამომდინარე აქვს, რაც ჩვენ მათთან გვქონდა,“** — განაცხადა **ლევან მახაშვილმა.**

# საქართველო ვარ მე, შენ, ის — საქართველოს მოქალაქე!



**ჭეშმარიტება ხომ კამათში იბადება...**

**ვიცი, თავისი ურა-პატრიოტიზმით გამორჩეული ბევრი ჩემი თანამემამულე არ დამეთანხმება, გამაკრიტიკებს და, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ მოღალატედაც შემრაცხავს, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას. და, რაც უფრო მალე და რაც უფრო დასაბუთებულად, მით უკეთესი. ვერ დაგპირდებით, უდავო ჭეშმარიტებებს შემოგთავაზებთ-მეთქი – ჭეშმარიტება ხომ კამათში იბადება. ჰოდა, მოდი, რუსეთ-საქართველოს დღევანდელ და ხვალინდელ ურთიერთობებზე ვილაპარაკოთ. ვიკამათოთ კიდეც, ოღონდ ცივი გონებით და არსებული ვითარების გათვალისწინებით.**

**,,რუსი მტერია‘‘! არის ჩვენი დასავლელი ,,მეგობრების‘‘ მიერ საქართველოში დანერგილი აბსოლუტურად მიუღებელი, სასიკვდილოდ საშიში, უვიცებისა და ქვეყნის დასავლეთელი ,,მეგობრისთვის‘‘ ჩაბარების მოსურნე ცრუ პატრიოტებისთვის გამიზნული მოღალატეობრივი ლოზუნგი.**

**ვითარება კი, ძალიან მოკლედ, ასეთია: ჩვენ კარის მეზობელ რუსეთს, მსოფლიოს ერთ უდიდეს, უძლიერეს და მრისხანე ქვეყანას, ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი; ოფიციალურად აღიარებული აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „რესპუბლიკები“; საქართველოსთან გაწყვეტილი აქვს დიპლომატიური ურთიერთობა; შემოღებული აქვს სავიზო რეჟიმი; თავისი ჯარებით იცავს ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრებს; თბილისიდან ორმოციოდე კილომეტრში დგას მისი შეიარაღებული ძალები...**

**საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება, თუ მეტი არა, კომიკურად დაძაბულია: ხუთ თვეზე მეტია, თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების ქუჩებში არ წყდება მიტინგები და მანიფესტაციები „არალეგიტიმური“ ხელისუფლების უპირობო გადადგომის მოთხოვნით; რადიკალური ოპოზიცია უარს ამბობს საპარლამენტო მანდატებზე, ანუ უარს ამბობს თავისი მხარდამჭერების უფლებებისა და მოთხოვნების კანონიერ დაცვაზე; მოითხოვს ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს; არცთუ ფარულად ლაპარაკობს ძალაუფლების სახელმწიფო გადატრიალების გზით მოპოვებაზე; წერს ბინძურ, ცრუ დამსმენ წერილებს ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალურ და არაოფიციალურ ინსტანციებში; მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმართავს ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას ლოზუნგით – „რუსი მტერია!“...**

**და ყველაფერი ეს რუსეთ-უკრაინის ძმათამკვლელი და თანამედროვე კაცობრიობის არსებობისთვის უაღრესად საშიში ომის ფონზე!**

ცივილიზებულმა სამყარომ უკვე მრავალი საუკუნეა იცის, რომ რუსი არის ერთი ყველაზე თავდადებული, თავგანწირული და დაუნდობელი მებრძოლი კაცობრიობის ისტორიაში. მისთვის უცხოა დათმობა ან უკან დახევა თვით საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი. ამიტომ მასთან ულტიმატუმების ენით საუბარს ყველა ერიდება. ვინც ოდესმე ეს არ გაითვალისწინა, საკუთარი სიცოცხლით ზღო კიდეც. ამიტომაა, რომ თუნდაც, „ჩვენი მეგობარი“ ბალტიისპირეთისა და, საერთოდ, ევროკავშირის წევრი ქვეყნები გერმანიის თამადობით – რუსეთთან ანგარიშსწორებას სხვისი ხელით ცდილობენ. ამის კლასიკური, კიდევ ერთხელ ჭკუის სასწავლებელი მაგალითია ჯერ კიდევ დაუმთავრებელი უკრაინა-რუსეთის სისხლიანი დაპირისპირება.

ევროკავშირის ყველა ქვეყანამ – დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა, თუნდაც მექსიკამ, კოლუმბიამ ან ჩადის რესპუბლიკამ შესანიშნავად იცოდნენ და იციან, რომ რუსთან ბომბების ენაზე ხუმრობა ძალიან საშიშია ქვეყნის არსებობისათვის. ერთადერთი ქვეყანა, ვინც საერთაშორისო ავანტიურას (დიდი ალბათობით – ოქროს ბრწყინვალებას!) აჰყვა და თუნდაც ნახევარი მსოფლიოს იმედით რუსთან იარაღით ანგარიშსწორება გადაწყვიტა, არის უკრაინა. უფრო ზუსტად, აჰყვა არა უკრაინა, არამედ ამ ქვეყნის ხელისუფლება მისი პრეზიდენტის, ძალად უკრაინელი ვოლოდიმირ ზელენსკის მეთაურობით.

თავად განსაჯეთ: მე, ვიღაც ქართველმა ჟურნალისტმა, ჯერ კიდევ ამ ომის დაწყებამდე თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით ვივარაუდე და შემდეგ 50-ჯერ მაინც გავიმეორე, რა შედეგები მოჰყვებოდა რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას. არ გეგონოთ, ვტრაბახობდე – უბრალოდ, ეს ძალიან ადვილი გამოსაცნობი იყო, განსაკუთრებით, ისტორიისა და ისტორიული კანონზომიერების მეტ-ნაკლებად მცოდნე ადამიანისთვის.

და ეს ვერ ივარაუდა უკრაინის ხელისუფლებამ, ევროკავშირმა და თვით ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლე აშშ-მა?!

იმის თქმა მინდა, რომ ახალი და უცნაური არაფერი მომხდარა. უკრაინამ, ზელენსკიმ და მისმა „გუნდმა“ თავისი საქმე გააკეთა: უკრაინის აღმოსავლეთი რეგიონები, ყირიმი და შავი ზღვის სანაპირო რუსეთს ჩააბარა, დანარჩენი კი მეგობარ ამერიკას და, ნაწილობრივ, ევროკავშირს გადაულოცა.

ხაზს ვუსვამ, კოლექტიურმა ზელენსკიმ ყველაფერი ეს გააკეთა ევროკავშირის, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის კარნახით.

**უახლოეს მომავალში ყველაფერი ეს რუსეთსა და აშშ-ს შორის (დიახ, სწორედ რუსეთსა და ამერიკას შორის ევროკავშირის ფორმალური მონაწილეობით!) დოკუმენტურად გაფორმდება. ვოლოდიმირ ზელენსკის მომავალზე დარდი არ ღირს - უკრაინის შესახებ აშშ-რუსეთის მოლაპარაკებების დამთავრებისთანავე იგი თავისი მილიარდებით უგზო-უკვლოდ გაუჩინარდება (თუ თავის ოპონენტებს გაასწრო) და სადმე „ყრუ ადგილს დასახლებული“ სიცოცხლის ბოლომდე ბედნიერად „იგულავებს“.**

**შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლებისადმი პრეტენზიები მეც და სხვასაც ბევრი გვქონდეს, მაგრამ უნდა ვაღიაროთ: რომ არა მისი პრინციპული და, საერთაშორისო თვალსაზრისით წამგებიანი პოლიტიკა, საქართველოს ღვთივ კურთხეული მიწა-წყალი დღეს რუსეთ-ამერიკის სანავარდო, ხოლო ქართველი ხალხი, ქართული კულტურა – მსოფლიო ისტორიის საკუთრება იქნებოდა.**

* * *

**დავუბრუნდეთ ქართული საზოგადოების ერთი სოლიდური ნაწილის რუსეთისადმი დამოკიდებულებას – რუსი საქართველოს ისტორიული და მარადიული მტერია!**

ვფიქრობ, არ ღირს კიდევ ერთხელ იმ ანბანური ჭეშმარიტების გამეორება, რომ ამ ცოდვილ სამყაროში „მტერი“ ან „მეგობარი“ სახელმწიფო არ არსებულა, არ არსებობს და არც იარსებებს. რა თქმა უნდა, ვიდრე იარსებებს დამოუკიდებელი სახელმწიფოები და ქვეყნიერება ოდესმე ერთ მთლიან მეგობრულ მარქსისტულ სამყაროდ არ გაერთიანდება, ვიდრე საზღვრები არ მოიშლება და შეიარაღებული ძალები არ დაიშლება, ვიდრე ყველა ერთ ენაზე (მაგალითად – სომხურად) არ ალაპარაკდება და ერთი კულტურის საზოგადოებად არ ჩამოყალიბდება.

„რუსი მტერია“! არის ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მიერ საქართველოში დანერგილი აბსოლუტურად მიუღებელი, სასიკვდილოდ საშიში, უვიცებისა და ქვეყნის დასავლეთელი „მეგობრისთვის“ ჩაბარების მოსურნე ცრუ პატრიოტებისთვის გამიზნული მოღალატეობრივი ლოზუნგი.

**ზუსტად იგივეა „რუსული კანონი“, „რუსეთის მონა“, „რუსული მთავრობა“, „არჩევნების გაყალბება“, სალო გაბოს მარადიული ლეგიტიმაცია, „პოლიტიკოს“ გვარამიას ქართველი ხალხისადმი უკვდავი მიმართვა „ჩაგიფსით ღვინოში“, გაუთავებელი უაზრო აქციები, უბირი ახალგაზრდობის ქუჩაში გატყუება, დემონსტრაციული პროსტიტუციული თამაშობანი, უაზრო „პოლიტიკური“ კოალიციების შექმნა-გაუქმება, პარლამენტის წევრობაზე უარის თქმა... თუნდაც – პოლიტიკაში ამ საქმის აბსოლუტურად უვიცი პაატა ბურჭულაძის დამკვიდრების მცდელობა.**

* * *

**აშკარად „მეგობარი“ უცხოეთიდან ნაკარნახევი ანტირუსული „ლოგიკის“ ორიოდე მაგალითიც ვნახოთ.**

მოგზაური **სოსო ნეზიერიძე:** „რუსეთი, არის ერთადერთი ქვეყანა დედამიწაზე, სადაც არასდროს ვიმოგზაურებ! ამიტომ არა რუსეთს და არა ყველაფერს, რამაც შეიძლება მასთან დაგვაახლოვოს!“



ბატონ მსოფლიო მოგზაურთან კამათს არ ვაპირებ – მისი ნებაა, რომელ ქვეყანას ესტუმრება და რომელს – არა. უბრალოდ, ალოგიკური და გაუგებარია მისი უკიდეგანო ამბიცია – რუსეთს და ყველაფერს, რაც მასთან დაგვაახლოვებს, თურმე, უარი უნდა ვუთხრათ იმის გამო, რომ სოსო ნეზიერიძე იქ მოგზაურობას არ აპირებს!

ისე, ბატონ სოსოს შემიძლია საიდუმლოდ გავუმჟღავნო, რომ ჩვენი კარის მეზობელი „მოსისხლე მტერი“ რუსეთი არის უნიკალური კულტურის მქონე და, გეოგრაფიული თვალსაზრისით, უდიდესი ქვეყანა სამყაროში – 17 100 000 კვადრატული კმ.

შედარებისთვის: საქართველოს ფართობი 69 700 კვადრატული კილომეტრია. ამავე დროს, რუსეთი არის შეუცვლელი(!) სავაჭრო პარტნიორი ჩვენი ქვეყნისთვის. შეურიგებელ და უმამაცეს ბატონ მოგზაურს დიდი მოკრძალებით იმასაც შევახსენებ, რომ დღევანდელ არსებობას, ფიზიკურ არსებობას! – ჩვენი მრავალტანჯული ქვეყანა სწორედ რუსეთს უნდა უმადლოდეს. დიახ, სწორედ რუსეთს და არა ოსმალეთის იმპერიას, არაბთა სახალიფოს, აბასიანთა ირანს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ბრაზილიას, კამერუნს ან ყველა ევროპულ ქვეყანას ერთად.

პოლიტიკოსი **ლევან ხაბეიშვილი:** „კადიროვის გროზნო და ივანიშვილის თბილისი. განდფორმირებები, ნიღბიანები, შავ ფორმაში გამოწყობილი კრიმინალები. საჩვენებელი, კარგად დაგეგმილი სადამსჯელო ღონისძიებები აქვთ დილიდან. ზუსტად იციან, როგორი საჯარო რეაქცია იქნება და მიზანმიმართულად აკეთებენ. შიგნით, საკუთარ ბანდას, ჯგუფს აჩვენებენ, რომ ძლიერად არიან და ჯერ კიდევ აქვთ ძალისმიერი მეთოდების თავი. ამას აყურებინებენ თავიანთ დამონებულ-დაჩმო-



რებულებს, რომ არ დაიწყოს დასაძირად განწირული გემიდან გაქცევა! რეალური შეტევითი, წინააღმდეგობრივი მოძრაობა უნდა დავუპირისპიროთ, საკადრისი პასუხი უნდა გავცეთ ყველა ძალადობრივ ქმედებას და ამათი დღეები დათვლილია! კარგად ორგანიზებული, ერთობლივი, სახალხო აჯანყება თავისი თავდაცვითი, წინააღმდეგობრივი მოძრაობით! ამ შემთხვევაში უპირობოდ გავარღვევთ!“

ხაზეიშვილის ეს „სიბრძნე“ არის სწორედ დასტური იმისა, რისკენაც გვიბიძგებს ანტირუსული პროპაგანდა – სახელმწიფო გადატრიალება და დღეს მოქმედი ხელისუფლების ნაცვლად დასავლეთის მონა-მორჩილი, „ჩმორი“ ხელისუფლების აღზევება თავად ხაზეიშვილის, გვარამიას, მელიას, ხაზარაძის, გახარიას, ელისაშვილის, ნანუკას ან, თუნდაც, მისი ცივსისხლიანი მკვლელი ქმარყოფილის, ერეკლე კოდუას თამადობით.

* * *

**კიდევ ერთი პატარა და მრავლისმთქმელი მაგალითი.**

აპრილის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ დანიშნა საავიაციო რეისი სოხუმთან. ბუნებრივია, ამას მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი პროტესტი – აფხაზეთი არის საქართველოს განუყოფელი, ისტორიული ნაწილი და საერთაშორისო სამართლის თანახმად, სხვა ქვეყანას (ამ შემთხვევაში, რუსეთს) საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად მასთან ურთიერთობის უფლება არ გააჩნია. იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთი კარგა ხანია ოკუპირებულია რუსეთის მიერ, ქართული მთავრობის ამ განცხადებას რაიმე რეაქცია არ მოჰყოლია.

სამაგიეროდ, მოჰყვა ოპოზიციების საკმაოდ მწვავე შეფასებები. სამაგალითოდ, ალბათ, ესეც იკმარებს:

**პაატა დავითაია**, „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარე: „რეგულარული ფრენების აღდგენის მცდელობა ნათლად აჩვენებს, როგორ ემზადება რუსეთი ჩვენი ტერიტორიების საბოლოო ანექსიისთვის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სააგენტოს ICAO-ს მოქმედებებით და გავლენით რუსულმა აეროფ-



ლოტმა მოსალოდნელი სანქციების თავიდან არიდების მიზნით უარი განაცხადა ფრენების შესრულებაზე. სოხუმში ფრენებს იწყებს **UVT aero**, რომელიც დაკავებულია სპეციალური გადაზიდვებით რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსა და „ეფესბეს“ ძალებისთვის“.

ნათლად ჩანს, რომ რუსეთს არ გამოუვიდა სოხუმთან მასშტაბური, რეგულარული ავიამიმოსვლის აღდგენა, რაც პირველ რიგში, საერთაშორისო ზეწოლის შედეგია.

მეგონა, პაატა დავითაიასნაირმა გამოცდილმა და მრავლისმნახველმა პოლიტიკოსმა იცოდა, რომ ორ ქვეყანას შორის ავიარეისების რაოდენობა, საერთოდ, მისი არსებობა ან არარსებობა ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ სიამტკბილობაზე ან დაპირისპირებაზე არ მიანიშნებს; რომ, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ეკონომიკური ინტერესი.

თანაც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რუსეთის მხრიდან სოხუმთან ავიამიმოსვლების აღდგენის მცდელობა (ბაბუშერას აეროპორტის გამოყენებით) იყო ჯერ კიდევ 2010 წლის თებერვალში.

დიდ პოლიტიკოსს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ ახლახანს რუსეთის საჰაერო ტრანსპორტის ფედერალური სააგენტოს საიტზე საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოქვეყნდა: რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით ექვსი ავიაკომპანიის რეისების რაოდენობა მალე 18-მდე გაიზრდება. ბათუმისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტების მიმართულებით ფრენები მალე დაიწყება კრასნოდარის, უფის, ყაზანის, პერმის, ეკატერინბურგის, ჩელიაბინსკის, ვოლგოგრადის, კრასნოიარსკის, ბარნაულის, ნოვოსიბირსკის, ტომსკის, ორენბურგის, ომსკისა და სამარის საერთაშორისო აეროპორტებიდან. მთლიანობაში ახალი ნებართვები კვირაში 51 ავიარეისს ითვალისწინებს. თანაც, საქართველოს რუსეთთან სავიზო რეჟიმი არ დაუწესებია და ამ ავიარეისების არსებობაში გასაკვირი ან კანონსაწინააღმდეგო არაფერია.

**ახლა იმის შესახებ, რისთვისაც ამ საკმაოდ ვრცელი შესავლის გაკეთება მომიხდა.**

**თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილი ვითარება იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველო ვალდებულია დაიწყოს დიალოგი რუსეთთან დიპლომატიური, სამხედრო, სავაჭრო და, საერთოდ, კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენის, ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების თაობაზე. უბრალოდ, საქართველოს სხვა გამოსავალი არა აქვს. არც უკან დასახევი გზა გააჩნია. არც პრობლემის მოგვარების ხვალისთვის გადადების შესაძლებლობა!**

ვიცი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებას შინ და გარეთ ბევრი მოძულე და მოკრიტიკე გამოუჩნდება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანს და არც ოდესმე გამოჩნდება – ძალის პოზიციებიდან რუსეთთან ლაპარაკის შემძლე დედამიწაზე ერთადერთი ძალა მეგულება, ლევან ხაზეიშვილი, მაგრამ სანამ ეს მამაცი გენიოსი აზრების სიტყვიერად გადმოცემას (ლაპარაკს) ისწავლიდეს, ბევრი წყალი ჩაივლის. რუსეთთან ადამიანური დიალოგი კი უნდა დღესვე დაიწყოს.

იქნებ, რადიკალური ოპოზიციის შიშით ამგვარი დიალოგი მალულად, სადღაც დიპლომატიურ კულუარებში მიმდინარეობს კიდეც. ამას რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის მარია ზახაროვას ამასწინანდელი გამოსვლაც მაფიქრებინებს, საქართველოს რუსეთის ხელისუფლებასთან დიალოგისკენ მოვუწოდებო.

თუ ასეა, ვფიქრობ, მისი გასაჯაროების დრო უკვე დადგა. მოაზროვნე, ქვეყნის ჭეშმარიტად მოამაგე და მოყვარულმა საზოგადოებამ ეს უნდა იცოდეს. საბედნიეროდ, საქართველოში ბევრია ნამდვილი პატრიოტი, განსჯის უნარის მქონე ადამიანი, ვისაც ხელისუფლების გვერდში ამოდგომა, მისთვის კეთილი რჩევების მიცემა შეუძლია.

**გოდიშს ვიხდი, მაგრამ, საქართველო არც ხელისუფლებაზე მეოცნებე ოპოზიციაა და არც ძალაუფლების შენარჩუნებაზე მოფიქრალი ხელისუფლება – საქართველო ვარ მე, მრავლისმნახველი, მრავალჭირვარამგადამტანი და ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრალი საქართველოს მოქალაქე.**

**დიახაც, სწორედ მე უნდა ვიცოდე, რას ფიქრობს და რას აპირებს საქართველოს ხელისუფლება ხვალ.**

**ოპოზიციას კი ვურჩევ, ფრთხილად იყოს და კონსტრუქციულობაზე იფიქროს – ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი.**



**თეიმურაზ ქორიძე**

05. 05. 2025

# ან რევოლუცია,




# ან პოლიტიკიდან გაქრობა!!!

**ქუჩის პროტესტს აქვს ორი ვარიანტი: ან რევოლუცია უნდა მოახდინო, რაც, რომც გამოგივიდეს, ქვეყნის დანგრევაზე მიდიხარ, ან პოლიტიკიდან უნდა გაქრე – ამ შემთხვევაში არც ერთი ვარგა და არც მეორე**

**ოპოზიციურ სპექტრში კვლავ გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა, ამჯერად იმასთან დაკავშირებით, მიიღონ თუ არა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა. ნაწილი თითქოს ამისთვის მზაობას გამოხატავს, რაც კონკრეტული პოლიტიკოსებისა და პარტიების მხრიდან ერთგვარ ღალატად ფასდება. შესაბამისად, ამ ეტაპზე უცნობია, ვინ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.**

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის პოლიტიკური პარტია, რომელიც არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს, ჩვეულებრივი კოლაბორაციონისტი და რუსული საოკუპაციო რეჟიმის თანამზრახველი იქნება. მისივე თქმით, ოპოზიციურმა პოლიტიკოსებმა თავიანთი ძალები უნდა გააერთიანონ.

**„ხშირად არის საუბარი, ადგილობრივ არჩევნებზე წავალთ თუ არა. ხალხო, ეს არის ოკუპაციურ-კოლაბორაციულ სტილში, არჩევნები გაუქმებულია. ყველა, ვინც ფუნდამენტური ცვლილების გარეშე წავა რაიმე სახის არჩევნებზე, არის ჩვეულებრივი კოლაბორაციონისტი, რუსული საოკუპაციო რეჟიმის თანამზრახველი და შეიძლება ითქვას მონაც. ჩვენ ჩვენი ძალები უნდა შევკრათ!“**, – განაცხადა **სააკაშვილმა.**



ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ შესაძლოა, კონკრეტულმა ოპოზიციურმა პარტიებმა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვან, თუმცა ჯერჯერობით ნაადრევია ამაზე საუბარი.

**„ჩვენს წინ არის რუმინეთის მოქმედების მოდელი და ასევე, არის საქართველოს მოქმედების მოდელი. ქართული ოპოზიცია განაწყენდა, გადაწყვიტა დაესაჯა ხელისუფლება და უარი თქვა პარლამენტში შესვლასა და საერთოდ, პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობაზე – საპროტესტო აქციებს უყურებს იმედის თვალით, თორემ თვითონ არც ამ აქციებშია ჩართული. რომელი გზა არის უფრო სწორი? – მგონია, რომ რუმინეთის გზა უფრო სწორია, ევროპული დემოკრატიის კანონებით ნაკარნახევი გზა, რომ შეხვიდე ამ სისტემაში და შიგნიდან დაიწყო ოპოზიციონერობა. ქუჩის პროტესტს აქვს ორი ვარიანტი: ან რევოლუცია უნდა მოახდინო, რაც, რომც გამოგივიდეს, ქვეყნის დანგრევაზე მიდიხარ, ან პოლიტიკიდან უნდა გაქრე – ამ შემთხვევაში არც ერთი ვარგა და არც მეორე.**

**თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ იაგო ხვიჩიას „გირჩი“ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, ჯაფარიძის „გირჩი“ ალბათ, – არა. დანარჩენებზე მკაფიოდ ვერ ვიტყვი, რას იზამენ – ამაზე მსჯელობა ჯერ ადრეა, რადგან, რომ მოახლოვდება კრიტიკული დრო, მერე უფრო გამოიკვეთება, ვინ მიიღებს მონაწილეობას და ვინ არა. ჯერჯერობით, დასავლეთის ლიბერალურ წრეებს სჭირდებათ აქ საპროტესტო მუხტი, იმის ჩვენება სჭირდებათ, რომ საქართველოში ხალხი ხელისუფლების უკმაყოფილოა და ამიტომ ევროპა ხელისუფლების შეცვლის მომხრეა – ამის ჩვენება უნდათ. ესენი რომ შევიდნენ, მუხტი გაქრება. ამიტომ, მგონია, რომ დასავლეთის დაკვეთაა ამ უკმაყოფილების, პროტესტის პერმანენტულობა“**, – განაცხადა **რამაზ საყვარელიძემ** For.ge-სთან.



ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში და, ზოგადად, მსოფლიოში, არასტაბილური მდგომარეობაა, რაც ოპოზიციური სპექტრის მხრიდან გათვალისწინებული უნდა იყოს და ამის მიხედვით გადაიდგას ნაბიჯები.

**„არ ვიცით, რა ვითარება იქნება ქვეყნის შიგნით სექტემბერში ან ქვეყნის გარეთ და ასევე, ზოგადი, პოლიტიკური სიტუაცია როგორი იქნება. ჩვენ არაორდინარული სიტუაცია გვაქვს, თუმცა სხვა ვითარებაში, არჩევნებში მონაწილეობა აუცილებელია პოლიტიკური ძალებისთვის. პოლიტიკური პარტიები ამისთვის არსებობენ, მაგრამ ჩვენ გვაქვს არასტანდარტული ვითარება – არა მხოლოდ ჩვენ, მსოფლიოში არის არასტანდარტული მდგომარეობა. სწორედ ეს უნდა გაითვალისწინოს ოპოზიციამ და ამის მიხედვით იმოქმედოს, რაც კარგი იქნება მათთვისაც და ქვეყნისთვისაც.**

**ამიტომ, არ ვთვლი, რომ განცხადებები უნდა გაკეთდეს, ღებულობენ თუ არა მონაწილეობას არჩევნებში, ამ ყველაფერს დრო სჭირდება. მთელი ეს საერთაშორისო ზეწოლა, რაც დღეს „ქართულ ოცნებაზე“ ხორციელდება, სწორედ ამ პროტესტის შედეგია და არა სხვა რამის. ჩვენი პარტნიორები ხედავენ რომ ქვეყანაში არსებულ ვითარებას ვერ ეგუება ქართული საზოგადოება, ცდილობენ, რომ მოგვეხმარონ და ქვეყანაში დემოკრატიული უკუსვლა შეჩერდეს – დავუბრუნდეთ განვითარების ნორმალურ ვითარებას. თუ ზეწოლა გაგრძელდება, ხომ შეიძლება რომ ხელისუფლებამ შეცვალოს თავისი დამოკიდებულება! მაშინ არჩევნებში მიიღებენ მონაწილეობას. ასე რომ, ეს პროტესტი შედეგიანია და თუ პროტესტი გაგრძელდა, კიდევ უფრო მეტი შედეგის მომტანი იქნება“**, – განგვიცხადა **ვახტანგ ძაბირაძემ.**

**ნიკო ჩოხელი**



არ მოახსნევინა და არ დააჭერინა, უბრალოდ, გაათავისუფლეს და... სამკურნალო-სანიტარიული სამმართველოს ხაზით მკურნალობაც კი დაუწესესო – **ა.ა.**).

პლენუმზე ხანდახან პირდაპირ სასაცილო მდგომარეობა იქმნებოდა (რა თქმა უნდა, სასაცილო – გადატანითი მნიშვნელობით, თორემ სასაცილო კი არა, სატირალი იყო).

ვაჭრობის მინისტრი მიხეილ ნარსია აცხადებს, რომ ცეკას დახურულ წერილში ნახსენები ბოროტმოქმედი (**? – ა.ა.**) ალშიბაია მინისტრის მოადგილის კუჭუხიძის სიმამრი ყოფილა, მაგრამ დახურული წერილის განხილვის დროს გამოსვლისას, სიძეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს, რის გამოც კუჭუხიძის საქციელი დავგმეთო.

ახლა სხვა, უფრო „საშინელი" ფაქტი: თურმე ვაჭრობის სამინისტროს აპარატში შეთავსებით მთარგმნელის თანამდებობაზე მომუშავე ბარკალაია, დახურულ წერილში აღნიშნული დამნაშავე ბარკალაიას მამა ყოფილა. ის სამუშაოდან მოვხსენითო, უპატაკა მინისტრმა პლენუმს.

კნელი პლენუმის შემდეგ კიდევ გადავხედეთ კადრებს და 5 კაცი გავათავისუფლეთ, მათ შორის გულრიფშის პროკურორის თანაშემწე წულაია. იგი ამ თანამდებობაზე თავის დროზე ყოფილი პროკურორის მამულიას დაჟინებული მოთხოვნით დაინიშნა, ხოლო მერე გაირკვა, რომ წულაია რესპუბლიკის პროკურორის შონიას სიძე ყოფილა. წულაია ვითომ მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის კურდამთავრებულია, შემოწმებამ კი დაგვანახა, რომ წერა-კითხვის მცირე მცოდნეაო...

მასირებულად მიაწვნენ საქართველოს ალკკ ცკ-ის პირველ მდივანს ივლიანე (მამია) ზოდელავას, რატომ არაფერს ამბობ, თუ რა კეთდება კომკავშირში 9 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად, როგორ თუ გაბედე და თქვი, დირექტივა მომეცით, როგორ ვიმოქმედოო.

კანდიდ ჩარკვიანმა კუშტად განაცხადა, ჩვენ არა გვაქვს მასალები, ზოდელავა ანტისახელმწიფო და ანტიპარტიულ პიროვნებად მივიჩნიოთ, მაგრამ ფაქტია, რომ კომკავშირის ცეკაში მნიშვნელოვანი პოსტები მეგრელებს უკავიათ.

**რომლებიც ჩვენს ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ დიდი ნაწილი იქითკენ არის მიმართული, რომ დისკრედიტაცია გაუწიოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს".**

**2. „დახურული წერილის განხილვისას შემჩნეულია ანტიპარტიული გამოთქმები. ყველა მეგრელი ცხადდება ბარამიას ანტიპარტიული, ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფის თანამზრახველად და ცუდ გამოთქმებს ხმარობენ მეგრელთა მიმართ".**

განა თავიდანვე არ იყო საგუმანო, რომ სწორედ ასე მოხდებოდა? განა თავიდანვე არ იყო მოსალოდნელი, რომ ეს მართლაც ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი დადგენილება, ერთი მხრივ, მოსახლეობაში ხელისუფლებისა და პარტიის დისკრედიტაციას გამოიწვევდა და, მეორე მხრივ, ხელყოფდა ქართველი ერის მთლიანობას?

ლამის ყველა მეგრელი ანტისახელმწიფო ელემენტად, ანუ, ყველაფერს თავისი სახელი რომ დავარქვათ, მტრად ცხადდება! რამდენი მედროვე, სინდისგარეცხილი ადამიანი დაეხარბა „მტრის" ადგილს და შეეცადა მეგრელობის გამო სარმა გამოედო მისთვის. და ბევრმა შესძლო კიდეც ეს!

**ალეკო ასლანიშვილი**

# მეგრელთა საქმე

**რაიონის შემოწმება დაუწყიათ სოფლების წაქვინჯისა და რუხის კოლმეურნეობებში დატაცების და გაფლანგვის შესახებ სამართალდამცავი ორგანოების მასალებით. გამოირკვა: რაიონის პროკურატურა და სასამართლო ორგანოები აშკარად მფარველობდნენ გამფლანგველებსა და დამტაცებლებს. ამ შემოწმებისას გრიშა ჩაჩიბაია და აღმასკომის თავმჯდომარე გუგუ გოგეჩია პირდაპირ კბილებით იცავდნენო თავის ხალხს.**

ზუგდიდის რაიონის ხელმძღვანელები აბუქებდნენ ბარამიას ავტორიტეტს. ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დაარქვეს. იქამდე მივიდნენ, რომ XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობას, სხვა კოლმეურნეობასთან შეერთების შემდეგ ბარამიას სახელობის კოლმეურნეობა დაარქვესო.

მეორედ გამოსვლისას ჩარკვიანმა ილაპარაკა პროკურატურისა და იუსტიციის ორგანოების მანკიერ მუშაობაზე. თურმე პროკურორ ვლადიმერ შონიას ბინაში დიდხანს იმალებოდა მისი ნათესავი, სახელმწიფო ქონების დამტაცებელი ქალი ეთერია, რომელზეც სასამართლო ძებნა იყო გამოცხადებული.

პირველმა მდივანმა პლენუმს აცნობა, რომ პროკურატურის ცენტრალური აპარატის 55 პასუხისმგებელი მუშაკიდან მოხსნილი და დათხოვნილია 15 კაცი, საქალაქო და რაიონულ პროკურატურებში გადაყვანილია – 6, პროკურატურის ადგილობრივი ორგანოებიდან კი მოხსნილ-დათხოვნილია 13 კაცი; იუსტიციის სამინისტროს აპარატიდან მოხსნილი და დათხოვნილია 6 მუშაკი, სულ ამ სამინისტროს სისტემიდან – 26 პასუხისმგებელი მუშაკი; სასამართლო ორგანოებიდან – 15 (ამ 15-დან 2 რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო, 13 კი – სახალხო მოსამართლე); პროკურატურიდან გაყრილია 37 კაცი. სულ პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლო ორგანოებში გაიგზავნა 60 ახალი მუშაკი.

პლენუმს არ დასჭირვებია განმარტება, რომ ეს მოხსნილ-დათხოვნილ-გაყრილი მუშაკები მეგრული წარმოშობისა იყვნენ...

მ. ბარამიას მხილება სხვებმაც გააგრძელეს. სიმკაცრითა და კონკრეტული მაგალითების სიუხვით კვლავ აკაკი მგელაძე გამოირჩეოდა. მან ახალი მომენტი წამოსწია წინ: ბარამიას ანტისახელმწიფოებრივი ჯგუფი ხელოვნურად ბერავდა მონაცემებს, რათა მისთვის საჭირო, დასაყრდენ ადამიანებს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მინიჭებოდათ. ასეთი ფაქტები იყო, კერძოდ, ზუგდიდში, შესამოწმებელია, იქნებ, სხვა რაიონებშიცო. შემდეგ: ბარამიას დაუხსნია თავისი ნათესავი, ფოთის „ზაგოტზერნოს" ბაზის დირექტორი, გამფლანგველი და ქურდი ვ. თოდუა.

თვითკრიტიკულად გამოვიდა აბაშის რაიკომის პირველი მდივანი **სევერიან ებრალიძე,** კერძოდ, ერთი დიდი „ცოდვა" გაამხილა: მეც მქონდა შეცდომა მუშაობის დროს – უნებართვოდ დავიწყე საშუალო სკოლის მშენებლობაო.

თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ევტიხი ჩერქეზიამ პლენუმს მოახსენა ბარამიას დის ლიდას დანაშაულებრივ ქმედებათა შემოწმების შედეგები: ლიდა ბარამია თეატრალური ინსტიტუტის ლექტორად მუშაობდა, იმავდროულად პარტორგანიზაციის მდივანიც იყო. დამტკიცდა, რომ მან ჩაშალა პარტიული მუშაობა ინსტიტუტში – ჩაიდინა სიყალბე: პარტიული კრების ჩატარების შემდეგ ოქმში შეიტანა პარტიის წევრ პოპოვასთვის პარტიული სასჯელის მოხსნის საკითხი და თვითონვე „დაადგინა" პარტიის რაიკომის წინაშე პოპოვასთვის საყვედურის მოხსნის შუამდგომლობის აღძვრა... ცეკას ბიურომ ლ. ბარამია მოხსნა პარტორგანიზაციის მდივნობიდან და მისი პარტიულობის საკითხი რაიკომს გადასცა განსახილველად.

აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **შოთა გეთიამ** უფრო გააფართოვა მიხა ბარამიას „მტრული მოქმედების" არეალი. მას თავისი ხალხი ჰყავდა მოსკოვშიც, რომელთა მეშვეობითაც იქ აწყობდა საქართველოში მოხსნილ მუშაკებსო. დაასახელა აფხაზეთის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი პაპასქუა, რომელიც ადრე მუშაობის ჩაშლის, ჯანდაცვის ქსელში მილიონ მანეთზე მეტი თანხის გაფლანგვისათვის გაათავისუფლეს; ასევე მოსკოვში მოეწყო „აფხაზეთში ცხენების ქურდების მამამთავარი" ხონელიაო.

შოთა გეთიამ შეკრებილთ მოახსენა: უკანასკნელი საჭირო იქნება ღონისძიებების ჩატარება, რათა ეს პოსტები დაიკავონ სხვა რაიონებისა და პროვინციების წარმომადგენლებმაც, ჩვენ „ლიკვიდაცია უნდა გავუკეთოთ" ამასო.

სხვათა შორის, პლენუმზე, მათდა უნებურად, გაირკვა, რომ გაფლანგვა, სახელმწიფო ქონების დატაცება... მხოლოდ „მეგრელ ნაციონალისტთათვის" დამახასიათებელი თვისება არ ყოფილა.

***დასახელდა ასეთი ციფრები:***

***ცეკავშირის სისტემაში 1950 წელს გამოვლინდა 14275 ათასი მანეთის გაფლანგვა-დატაცება, 1951 წლის პირველ ნახევარში – 7494 ათასის;***

***ვაჭრობის ქსელში: 1950წ. – 2950 ათასი, 1951 წ. პირველ ნახევარში – 443 ათასი;***

***კვების მრეწველობაში: 1950 წ.-2900 ათასი, 1951 წ. პირველ ნახევარში – 870 ათასი;***

***რძისა და რძის პროდუქტების წარმოების სამინისტროს ხაზით: 1950 წ. – 390 ათასი, 1951 წ. პირველ ნახევარში – 152 ათასი;***

***მუზუქ მრეწველობაში: 1950 წ. – 132 ათასი, 1951 წ. პირველ ნახევარში – 240 ათასი;***

***სარეწი კოოპერაციის ხაზით: 1950 წ. – 126 ათასი, 1951 წ. პირველ ნახევარში – 235 ათასი მანეთი და ა. შ.***

საგანგებოდ მინდა ხაზი გავუსვა ორ გარემოებას. პლენუმი იძულებული გახდა ეღიარებინა:

**1. „ბევრი ანონიმური წერილი მივიღეთ. მათი ნაწილი შეიცავს ფაქტებს,**

ცოტა მოგვიანო პერიოდის, მაგრამ დამახასიათებელ მაგალითს მოვიყვან.

დაინიშნა თუ არა ლავრენტი ბერია ხელახლა გაერთიანებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელად, მასზე დასმენების სეტყვა მიაწყდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს. მწერალი ბორის სოკოლოვი წიგნში **„ბერია. ყოვლისშემძლე სახკომის ბედი"** (მოსკ. 2003), ერთ-ერთ მათგანს გვაცნობს:

***„ამხანაგო ხრუშჩოვო და მალენკოვო! ყურადღება მიაქციეთ ეშმაკ მეგრელს ბერიას. ის გათახსირებული აფერისტი, ნაციონალისტია. მეგრელის გარდა მისთვის არავინ არსებობს. შსს-ში კაკუჩაიას (ლაპარაკია გენერალ-მაიორ ვარლამ კაკუჩაიაზე, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა 1953 წლის 16 მარტს, მაგრამ უკვე 10 აპრილს გადაიყვანეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრდაზვერვის უფროსად, მის ადგილზე კი ვლადიმერ დეკანოზოვი დასვეს. შეიძლება ეს გადაადგილება სწორედ ამ ანონიმური წერილის შედეგიც იყოს. ისე, ამ შეცვლამ ვ. კაკუჩაიას სიცოცხლე შეუნარჩუნა, ლ. ბერიას დამხობის შემდეგ მას 15 წელი მისცეს, ვ. დეკანოზოვი კი დახვრიტეს – ა. ა.) მოადგილედ 90 წლის კუანა წერეთელი, უწიგნური, არაფრის მცოდნე, კულაკი დაუნიშნეს (გენერალ-ლეიტენანტი შალვა წერეთელი, რომელიც 1953 წელს, ბერიას დაპატიმრების უმალ დაიჭირეს და 1955 წელს დახვრიტეს, კულაკი კი არა, თავადი იყო და შედარებით ახალგაზრდაც – 59 წლის – ა.***



**შოთა გეთია**
**აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი**



**ევტიხი ჩერქეზია**
**თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი**



**ივლიანე (მამია) ზოდელავა**
**საქართველოს ალკკ ცკ პირველი მდივანი**

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-64



ვლადიმერ დეკანოზოვი
სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი



ვლადიმერ კაკუჩაია
საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-მაიორი



შალვა წერეთელი
გენერალ-ლეიტენანტი

*ა.), ლ. პ. ბერიამ სტალინის სიკვდილის შემდეგ გაანთავისუფლა ხალხის მტრები – მეგრელები. მეგრელები ამბობენ, სტალინი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ბერია ვერ შეძლებდა მეგრელთა გაშვებასო. ამჟამად ყველა ჩვენს რუსს ჩხირის გადაბრუნება არ შეუძლია ბერიას გარეშე, რუსებს თავზე დააჯდა. ბერიას ცოლის ბიძა ისიდორე გეგეჭკორი (ალბათ ევგენი გეგეჭკორზეა ლაპარაკი – ა. ა.), მენშევიკი, ამერიკაში (ჩანს, საფრანგეთში ურევენ – ა. ა.) გრიალებს, ასევე სხვა მრავალი ნათესავი. აფერისტი ბერია ახლა ყველა მეგრელს მოაწყობს. რუხაძე ხალხის მტერი არ არის, მას მდიდარი მასალები ჰქონდა ბერიაზე. გამოგზავნეთ საქართველოს შსს-ში რუსები, არ გვინდა აფერისტი მეგრელები ბერიას მეთაურობით. ჯანდაბაში გაგზავნეთ თავის მეგრელებიანად. ჩვენ გვიყვარს რუსები, სამართლიანი ადამიანები. ახლა ქართველთა სიცოცხლე კაპიკად არ ღირს. დიდ თანამდებობებზე მეგრელები იქნებიან, დანარჩენები კი უნდა იტანჯონ. თვითონ შეამოწმეთ, შსს-ში ყველა მეგრელი იქნება. ბერია თქვენ დაგასამარებთ, თუ არ მოიცილეთ. მე არ მეძებოთ, ვერ მიპოვით“.*

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად ვ. კაკუჩაიას ყოფნის დროის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს საზიზღარი ბარათი მოსკოვში 1953 წელს მარტის ბოლოსა და აპრილის დასაწყისში უნდა შესულიყო. იგი მიგვანიშნებს, თუ რა რთული იყო მაშინ ბერიას და მისი ხალხის მდგომარეობა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, რომელიც სავსე იყო იგნატიევისა და აბაკუმოვის ხალხით.

მალენკოვს და ხრუშჩოვს ანონიმური ავტორი არ უძებნიათ, მაგრამ მისი რჩევა კი შეისმინეს და ლავრენტი არა მარტო სამინისტროდან, საერთოდ, ამ ქვეყნიდანაც მოაშორეს.

თვით ამ წერილზე მინდა ასეთი ვარაუდი გამოვთქვა: იგი თბილისიდან კი იყო გაგზავნილი, მაგრამ აუცილებელი სულაც არ არის, ავტორი შსს-ს მუშაკი და ქართველი ყოფილიყო. ამას დაშვებული შეცდომები მალაპარაკებს, რომლებიც ორგანოების მუშაკს და ქართველს არ უნდა დაეშვა: ისიდორე გეგეჭკორი, ქართული ემიგრაცია ამერიკაში, ბეხრეკი წერეთელი... თუმცა, თავისთავად, ალბათ, არა ერთი გადაგვარებული ქართველიც წერდა ასეთ მეგრელთმოძულე დასმენებს...

როგორც ჩანს, კადრებში „გადახრა“ მართლაც შეიმჩნეოდა. ი. სტალინი კი ასეთი „გადახრების“ სასტიკი მოწინააღმდეგე იყო. მას ეკუთვნის მოსაზრება, რომელიც, თუ არ ვცდები, თავის სიყრმის მეგობარს პეტრე კაპანაძეს გაუზიარა: ნოე ჟორდანია იმიტომ დამარცხდა, რომ მთავრობა თითქმის მთლიანად გურულებით ჰყავდა დაკომპლექტებულიო. ასე რომ, ბელადის ყურამდე მიტანილი ყოველი ასეთი „გადახრის“ ცნობა მის გაღიზიანებას და ეჭვს იწვევდა.

მოგვიანებით, 1970-იან წლებში, როცა კანდიდ ჩარკვიანს ჰკითხეს, მართლა იყო თუ არა მაშინ მეგრელთა მომრავლება ხელმძღვანელობაშიო, მან მართებულად უპასუხა: კადრებს ვაწინაურებდით უნარის მიხედვით. მეგრელი კადრების დაწინაურებაში შეცდომები რომც ყოფილიყო დაშვებული, ამის გამოსწორება ადვილად, მტრებად მათი გამოცხადების გარეშეც შეიძლებოდა, მაგრამ კარიერისტებს ხელს აძლევდათ ის, რაც მომომქმედეს უფრო მაღალი პოსტების დასაკავებლად. და ყველაფერ ამას, ფაქტობრივად, ტონს აძლევდა თვით ხელისუფლება, პარტიული ორგანოები.

მაშინ, როცა საკავშირო პროკურატურაში მომუშავე ბარკალაია დამნაშავედ მხოლოდ იმის გამო ცხადდება, რომ პარტიულმა ფუნქციონერმა აკაკი მგელაძემ მასზე ეჭვი მიიტანა (მხოლოდ ეჭვი!), ისიც ბარამიას ჯგუფის წევრი შეიძლება იყოსო, ხოლო მამამისი, უმნიშვნელო ადგილზე – მთარგმნელად მომუშავე კაცი, სამსახურიდან გააგდეს, დამნაშავის მამააო, როცა ლამის სახელმწიფო და პარტიულ დანაშაულად ცხადდება, რომ კომკავშირის ცეკაში მეგრელებს მნიშვნელოვანი პოსტები უკავიათ, როცა პროკურატურის, იუსტიციის და სასამართლო ორგანოებიდან იმდენი კაცი მოხსნეს და დაითხოვეს მეგრელობის გამო, განა მოსალოდნელი არ იყო „ქვედა ფენებში“ ქვენა გრძნობების აფუთფუთება?

მაშინ, როცა „მეგრელთა საქმის“ 26-ტომიან საგამოძიებო საქმეში ერთ-ერთ საბრალდებო დოკუმენტად დევს უშიშროების სამსახურის მიერ შედგენილი ნუსხა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე მეგრელებისა, რომლებიც უკვე იმსახურებდნენ უნდობლობას (სხვაგვარად ეს სია არ შედგებოდა), რაკიღა მეგრელები იყვნენ, განა ვინმეს რამეღა უნდა გაკვირვებოდა?

რასაც დასთეს, იმას მოიმკი!

არადა, ჯერ მხოლოდ 1 თვე და 10 დღეა გასული სკპ(ბ) ცკ-ის ავბედითი დადგენილების ქვეყნად მოვლინებიდან, ჯერ მხოლოდ მექრთამეობა-დატაცება-მფარველობის გარშემო ტრიალებენ უშიშროების მარჯვე ბიჭები, დიდი ცდის მიუხედავად, ჯერ ვერა და ვერ მიიღეს უცხოეთთან ამ „ჯგუფის“ კავშირის მონაცემები. 20 ნოემბრის პლენუმზეც გაკვრით ითქვა (მხოლოდ გაკვრით, რადგან ხელთ არაფერი ჰქონდათ) სამშობლოს გამყიდველებზე, ჯაშუშებზე, დივერსანტებზე, ევგენი გეგეჭკორის ჯაშუშურ საქმიანობაზე, რომელსაც „ალბათ საქართველოშიც ჰყავს თავისი ხალხი მეგრელ ნაციონალისტთა რიცხვიდან“. დიახ, ნიკოლოზ რუხაძე და მისი ქეშიკები ძალიან ირჯებოდნენ, მაგრამ პატიმრებს არსებითი ვერაფერი ათქმევინეს ამაზე.

(გაგრძელება იქნება)

# პუტინი ფაშიზმის დამარცხებას მოსკოვში გეგმავს...

## „ვლადიმერ პუტინმა რაიხსტაგის შენობის ასლი ააგო გამარჯვების დღის აღსანიშნავად“

ბრიტანულ გაზეთ „დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „ვლადიმერ პუტინმა რაიხსტაგის შენობის ასლი ააგო გამარჯვების დღის აღსანიშნავად“ (ავტორი – ჯეიმს ჯექსონი).



UK news Politics World Donald Trump Health news Defence Science Education Environment Investigations

Putin builds life-sized Reichstag replica for Victory Day re-enactment

Moment Soviet flag hoisted above Germany's parliament building will be retold in play, with the set due to be used later for propaganda film

James Jackson
Berlin

Related Topics
Russia, Vladimir Putin, Second World War, Germany, Europe

05 May 2025 3:54pm BST

371

Gift this article free



გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით: The Daily Telegraph

**რუსეთმა გამარჯვების დღის აღნიშვნისათვის ნატურალურ ზომებში რაიხსტაგის შენობის ასლი ააგო – განმეორდება 1945 წლის 30 აპრილის მოვლენები, როცა ბერლინის ცენტრში მდებარე შენობა, მეორე მსოფლიო ომის დროს, წითელი არმიის ქვედანაყოფებმა აიღეს და მასზე წითელი დროშა აღმართეს.**

კრემლთან დაკავშირებულმა კინემატოგრაფისტებმა რაიხსტაგის (გერმანიის საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის) შენობა მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკში ააშენეს იმ მოვლენების ასახვის მიზნით, რომელიც ბერლინის ცენტრში ხდებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უშუალოდ დროშის აღმართვის პროცესს მესამე რაიხის პარლამენტის შენობაზე.

როგორც ცნობილია, ვლადიმერ პუტინი უკრაინის წინააღმდეგ დაწყებულ ომს იმით ამართლებს, რომ რუსეთისათვის აუცილებელი იყო მეზობელი ქვეყნის დენაციფიკაცია და ფაშიზმის ამოძირკვა რუსეთის ზღურბლთან.

მაგრამ სიტუაციის ირონიულობა იმით გამოიხატება, რომ იმ წითელარმიელებს შორის, რომლებმაც რაიხსტაგზე წითელი დროშა აღმართეს, ერთ-ერთი ეროვნებით უკრაინელი იყო – ალექსი ბერესტი. სწორედ ლეიტენანტი ალექსი ბერესტი იყო ჯგუფის მეთაური, რომელშიც, მის გარდა, შედიოდნენ ეროვნებით რუსი სერჟანტი მიხეილ ეგოროვი და ქართველი უმცროსი სერჟანტი მელიტონ ქანთარია. ალექსი ბერესტი რაიხსტაგის დამცავ გერმანელ „ეს-ეს“-ელ (CC) ოფიცრებს მოელაპარაკა, აიძულა ისინი კაპიტულაციაზე დათანხმებულიყვნენ. რაიხსტაგის სახურავზე წითელარმიელებმა დროშა ჯერ ფრონტონზე მიამაგრეს, შემდეგ კი გუმბათზე გადაიტანეს.

მოგვიანებით, ომის დამთავრების შემდეგ, ალექსი ბერესტი დაუმსახურებლად იქნა შეურაცხყოფილი საბჭოთა ხელისუფლების მიერ, როცა 1946 წელს სერჟანტებს მიხეილ ეგოროვსა და მელიტონ ქანთარიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები მიანიჭეს, მათი მეთაური კი, ლეიტენანტი ალექსი ბერესტი მხოლოდ წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, ალბათ, ეროვნული წარმომავლობის – უკრაინელობის გამო.

რაიხსტაგის ბრძოლების რეკონსტრუქცია, რომელიც კრემლს აქვს ჩაფიქრებული, მიანიშნებს იმას, რომ გამარჯვების დღე საომარ პირობებში ტარდება, მილიტარისტული მოწოდებების ფონზე, თუმცა საზეიმო განწყობით.

სპექტაკლი ღია ცის ქვეშ სახელწოდებით „გამარჯვება: წითელი დროშა რაიხსტაგზე“ თეატრისა და კინოს რეჟისორის იგორ უგოლნიკოვის ხელმძღვანელობით დღეში ორჯერ ჩატარდება და წარმოადგენს იმ საზეიმო ღონისძიებების ერთ-ერთ ელემენტს, რომლის მთავარი ნაწილია სამხედრო აღლუმი წითელ მოედანზე – კრემლის მიერ რუსეთის სამხედრო ძლიერების ჩვენება.

საზეიმო ღონისძიებებს, სხვა უცხოელ სტუმრებთან ერთად, დაესწრებიან სი ძინპინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე და რობერტ ფიცო, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრი.

რუსული მასმედია სპექტაკლს რეკლამას უწევს როგორც ძალზე საინტერესო და საოცარ ფაქტს, რომელიც მაქსიმალურად არის მიახლოებული 1945 წლის აპრილ-მაისს მომხდარ ნამდვილ მოვლენებთან. დეკორაცია მოგვიანებით გამოყენებული იქნება მხატვრული ფილმის გადასაღებად.

რაიხსტაგის შენობის ასლი ისევეა დანგრეული და დაცხრილული ნატურალური ზომის ნახვრეტებით, როგორც 80 წლის წინათ იყო. შენობის წინ ყრია აფეთქებული სამხედრო ტექნიკა, რომელთა რეკონსტრუქცია ომის დროს გადაღებული ფოტოების მიხედვით განხორციელდა.

რეჟისორის თქმით, მან შექმნა რეალისტურად ასახული სრული და ღრმა სურათი, საბჭოთა და გერმანული ავიაციის, აგრეთვე ტანკებისა და ჯავშანმანქანების მონაწილეობით.

თუმცა, როგორც ევროპული კვლევითი ცენტრის თანამშრომელი, ეროვნებით რუსი **სერგეი სუმლენი** ამბობს, რაიხსტაგის ბრძოლების რეკონსტრუქცია ყალბია, რითაც პუტინის რეჟიმი რუსეთის მოსახლეობის აზროვნებას ამახინჯებს. მისი თქმით, რუსული „გამარჯვების დღე“ სინამდვილეში „ძალადობის კულტს“ წარმოადგენს.

გერმანელი პოლიტიკოსები რაიხსტაგის აღების სპექტაკლის მიმართ დუმილს ინარჩუნებენ. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, **„ვიღაც-ვიღაცებმა გერმანიაში, როგორც ჩანს, დაივიწყეს, რომ ჰიტლერმა და მისმა თანამოაზრეებმა – ფაშისტებმა, მესამე რაიხის მშენებლებმა – თავიანთ გზა ხელისუფლებისაკენ და მსოფლიო სისხლისღვრისაკენ სწორედ რაიხსტაგის გადაწვით დაიწყეს, 1933 წლის 27 თებერვალს“.**

რუსეთი რაიხსტაგის აღებას პატრიოტიზმის ფუძემდებლურ მოვლენად მიიჩნევს. შენობის ასლის შექმნის მცდელობები ადრეც იყო. მაგალითად, 2017 წელს სერგეი შოიგუ, თავდაცვის იმდროინდელი მინისტრი, მიესალმა მინიატიურული რაიხსტაგის შექმნას კადეტთა სასწავლებელში, რომელიც მან „სამხედრო დისნეილენდად“ მონათლა.

ცნობილია, რომ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ისტორიული მოვლენებისადმი გარკვეული მიდრეკილება და ინტერესი აქვს. ჯერ კიდევ უკრაინაში შეჭრამდე მან გრძელი ისტორიული ტრაქტატი გამოაქვეყნა სახელწოდებით **„რუსებისა და უკრაინელების ისტორიული ერთობის შესახებ“**, რომელშიც ამტკიცებდა, რომ რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ერთ ერს წარმოადგენენ.

**კრემლთან დაკავშირებული გაზეთების მტკიცებით, ევროპა იმიტომ უჭერს მხარს უკრაინას, რომ როგორმე მეორე მსოფლიო ომში (და უფრო ადრინდელ ომებშიც) რუსეთისაგან განცდილი მარცხის კომპენსაცია მოახდინოს.**



მოამზადა
სიმონ კილაძემ



## ჟურნალისტის ტრამპისტული წიაღსვლები

# კაცი, მარა, რა კაცი!

**ტრამპი არ მალავს, რომ მას არ აინტერესებს უკრაინა. მისთვის ეს ქვეყანა მხოლოდ გასაცვლელი მონეტაა და მეტი არაფერი. სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ამერიკასა და მის ზოგიერთ ევროპელ პარტნიორს შორის ურთიერთობების გაუარესება, რომლებიც ტრანსატლანტიკური ერთიანობის რღვევის საფრთხეზე ალაპარაკდნენ**

## ცუდიც, კარგიც, ევროპისთვის მიუღებელიც!..

**29 აპრილი ამერიკის პრეზიდენტისთვის განსაკუთრებული დღე იყო. დონალდ ტრამპის ინაუგურაციიდან 100 დღე გავიდა. რა მოასწრო და რა ვერა, ამ ხნის განმავლობაში, ამერიკის 47-ე პრეზიდენტმა. მისმა 100-დღიანმა მოღვაწეობამ არაერთგვაროვანი გამოხმაურება ჰპოვა მთელს მსოფლიოში და, რა თქმა უნდა, თავად ამერიკაში: ზოგი აქებს და ზოგი აგინებს, მაგრამ ფაქტია, რომ, ამერიკის ისტორიაში, ტრამპი, ჯერჯერობით, ყველაზე ნაყოფიერი პრეზიდენტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მან, პრეზიდენტობის პირველივე დღეს, 26 განკარგულებას მოაწერა ხელი. პარადოქსია, მაგრამ, ამავდროულად, ბოლო ათწლეულების მანძილზე, ის ამერიკის ყველაზე არაპოპულარული პრეზიდენტიცაა. შიდა და გარე პრობლემებისადმი მისმა არატრადიციულმა მიდგომამ არა მხოლოდ ოპონენტებთან, პარტნიორებთანაც დაძაბა ურთიერთობა.**

ტრამპის ადმინისტრაციისთვის ჩვეული მკვეთრი ზომები ამერიკელ ამომრჩეველში იმედგაცრუებას იწვევს, რომლის ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ მის დროს ცხოვრება გაუარესდა. დონალდ ტრამპი აქტიურადაა ჩართული საგარეო პოლიტიკაში. მან 14 უცხოელი ლიდერი მიიღო, მათ შორის, ისრაელის, ინდოეთის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და იტალიის. ყველაზე სკანდალური შეხვედრა, უდავოდ, უკრაინის პრეზიდენტთან ჰქონდა, რომლის დროსაც, ზელენსკი, ფაქტობრივად, თეთრი სახლიდან გააძევეს. საარჩევნო კამპანიის დროს, დონალდ ტრამპი ხშირად ამბობდა, რომ მას უკრაინის კონფლიქტის 24 საათში მოგვარება შეუძლია, თუმცა, 24 საათში კი არა, ამ წლის ბოლოს თუ დამთავრდა ომი

უკრაინაში, ისიც გასაკვირი იქნება!!! ტრამპის ადმინისტრაციამ და თავად ტრამპმა ამ კონფლიქტის მიმართ სულ სხვანაირი მიდგომა აჩვენეს.

ტრამპი არ მალავს, რომ მას არ აინტერესებს უკრაინა. მისთვის ეს ქვეყანა მხოლოდ გასაცვლელი მონეტაა და მეტი არაფერი. სწორედ ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ამერიკასა და მის ზოგიერთ ევროპელ პარტნიორს შორის ურთიერთობების გაუარესება, რომლებიც ტრანსატლანტიკური ერთიანობის რღვევის საფრთხეზე ალაპარაკდნენ.

ამერიკასა და რუსეთს შორის დაახლოების ნიშნებმა ევროპაში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. ორი ქვეყნის დიპლომატებს შორის კომუნიკაცია, რომელიც ჯო ბაიდენის პრეზიდენტობის დროს ფაქტობრივად გაყინული იყო, აქტიურად აღდგა. მონროს დოქტრინის მომხრე პრეზიდენტმა მისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ასე ჩამოაყალიბა: მთელი ჩრდილოეთი ამერიკის, გრენლანდიიდან პანამამდე, ამერიკის გეოპოლიტიკურ ბასტიონად გადაქცევა, ჩინეთის შეკავება რუსეთთან ურთიერთობის გადატვირთვით, ახლო აღმოსავლეთში ამერიკის პოზიციების განმტკიცება, პროისრაელური პოლიტიკის გაძლიერება, სპარსეთის ყურის არაბ მონარქებთან კავშირების განმტკიცება და ირანის ბირთვული პროგრამის მკაცრი შეზღუდვა.

სამხედრო ფრონტზე ტრამპი ცდილობს ამერიკის სამხედრო ძალის გაძლიერებას, შეიარაღებული ძალების გენდერული ლიბერალიზმისაგან გაწმენდას, სტრატეგიული ბირთვული ძალების დიდი ხნის დაგეგმილი მოდერნიზაციის შეზღუდვების გარეშე გაგრძელებას. დანარჩენი მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკონომიკას ეხება: ტრამპმა გადახედა ამერიკის ეკონომიკურ პოლიტიკას, და ყველა ფრონტზე სატარიფო ომი დაიწყო. სატარიფო ომით შეშინებულმა დასავლეთის საფონდო ბირჟებმა რეკორდულად დიდი ფული დაკარგა. განსაკუთრებულ ინტერესს ჩინეთთან დაპირისპირება იწვევს.

მთელი მსოფლიო ელოდება, თუ რომელი მხარე დათმობს საბოლოოდ. ეკონომისტების უმეტესობა სკეპტიკურად არის განწყობილი იმის მიმართ, რომ ამ ბრძოლაში ტრამპი თავის მიზნებს მიაღწევს, მაგრამ ფაქტია, რომ ტრამპი გლობალიზაციის შეჩერებას ცდილობს. ის, ამერიკის საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად, მოკავშირეების ფინანსური და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებასაც ცდილობს. ტაქტიკურ დონეზე, ის შოკისა და შიშის კომბინაციას იყენებს. შიდა პოლიტიკაში, ტრამპმა ფედერალური ბიუროკრატიის რეფორმა და პრეზიდენტის ძალაუფლების განმტკიცება დაიწყო.

მისი ხელმძღვანელობით, დაიხურა ან დახურვისთვის ემზადება ფედერალური სამინისტროებისა და სააგენტოების მთელი რიგი, რომელიც, ვაშინგტონის ახალი ხელისუფლების აზრით, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს და გადასახადის გადამხდელთა ფულს არამიზნობრივად ხარჯავს. დაზარალებულებს შორისაა USAID და ამერიკის გლობალური მედიის სააგენტო USAGM, ანუ ამერიკის რბილი ძალის დასაყრდენები. ტრამპმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ამერიკის სამხრეთ საზღვარზე, და იქ ამერიკის სამხედრო ძალები განალაგა. არალეგალური იმიგრანტების წინააღმდეგ ბრძოლა ტრამპის ერთ-ერთი მთავარი საარჩევნო დაპირება იყო.

თეთრი სახლის განცხადებით, დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის პირველი 100 დღის განმავლობაში საზღვრის უკანონო გადაკვეთები 95%-ით შემცირდა. როგორც ამერიკის მასმედიაში აღნიშნეს, ამერიკა, ხშირად, თავის თავს ძველ რომს ადარებს, რომლის ცხოვრების დევიზი ასეთი იყო: პური და სანახაობა. ვნახოთ, რა სანახაობა გველის!

* * *

**ევროკავშირის კონტროლის პალატის ბოლო წლიური ანგარიშის გასაჯაროებას დიდი მითქმა-მოთქმა და სკანდალი მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ ევროკავშირის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხი ძალიან გაუმჭვირვალეა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე, 2021-23 წლებში, ევროკავშირმა შვიდ მილიარდ ევროზე მეტი დახარჯა, მაგრამ დღემდე გაურკვეველია, რაზე და რატომ დაიხარჯა ამ თანხის უდიდესი ნაწილი.**

ხარვეზების აღმოსაფხვრელად, კონტროლის პალატამ ევროკავშირის ხელმძღვანელობას არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების კანონის გამკაცრებისკენ მოუწოდა. დასკვნის თაობაზე, ევროპარლამენტში მძიმე კამათი გაიმართა, რომელიც ბოლოს ნამდვილ სკანდალში გადაიზარდა: საფრანგეთისა და გერმანიის მასმედიამ საკითხზე ჟურნალისტური გამოძიება ჩაატარა, რომლის შედეგმა ამ ქვეყნების მოსახლეობის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია.

ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გაუმჭვირვალობის გამო, ევროკავშირი ბრმად აფინანსებდა ექსტრემისტულ ისლამისტურ ორგანიზაციებს. მასმედიამ გაარკვია და გაასაჯაროვა მათი ვინაობა: ევროკავშირი, თურმე, დიდი ხნის განმავლობაში აფინანსებდა მუსლიმთა ახალგაზრდულ და სტუდენტურ ფორუმს, FEMYSO, რომლის წევრები 30-მდე ისლამისტური ორგანიზაციაა. თავად ფორუმი, რომლის გაცხადებული მიზანი ევროპაში მუსლიმი ახალგაზრდების განვითარებაა, მუსლიმი ძმების საზოგადოების იდეოლოგიას იზიარებს, რომელიც მე-20 საუკუნეში ეგვიპტეში დაარსდა. საქმე იმაშია, რომ ბევრ მუსლიმანურ ქვეყანაში, მათ შორის, ეგვიპტეში, საძმო აღიარებულია, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია. მუსლიმთა ახალგაზრდული და სტუდენტური ფორუმის წევრები სულაც არ მალავენ, რომ მუსლიმთა საძმოსთან აქვთ კავშირი, რომელიც ევროპის ქვეყნებში ხშირად მართავს დემონსტრაციებს.

თავისუფლების იდეას ამოფარებული ეს ორგანიზაცია ხშირად აპროტესტებდა საფრანგეთსა და შვეიცარიაში ჩადრის ტარების აკრძალვას. ამ საპროტესტო გამოსვლებზე, მუსლიმთა ახალგაზრდული და სტუდენტური ფორუმის წევრებს პლაკატები ეჭირათ ასეთი მოწოდებებით: ჩემი ჩადრი ჩემი არჩევანია; სილამაზე მრავალფეროვნებაშია, ამიტომ ატარე ჩადრი!..

ევროკავშირის მიერ ბრმა დაფინანსების მეორე მაგალითი, ორგანიზაციის, Islamic-Relief-Worldwide, ფულადი დახმარებაა, რომელიც რეგისტრირებულია, როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია. ის, ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში ოპერირებს, მაგრამ, რეალურად, ჰამასთან თანამშრომლობს. ევროპელმა ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ ექვსი წლის განმავლობაში. ამ ორგანიზაციამ ევროკავშირისგან 13 მილიონი დოლარი მიიღო.

ჟურნალისტურ გამოძიებაში ბევრი ამდაგვარი მაგალითია, მათ შორის, თურქეთის გაზიანთეფის ისლამური უნივერსიტეტის დაფინანსება, რომელიც, 2022 წელს ევროკავშირის ერაზმუსის პროგრამის წევრი გახდა. ეს ევროკავშირის მთავარი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის ეგიდით არაერთი უმაღლესი სასწავლებელი ფინანსდება. 2024 წლის ბოლოს ევროკავშირმა ეს უნივერსიტეტი ამ პროგრამიდან გარიცხა. როგორც გაირკვა, უნივერსიტეტში რადიკალური ისლამის იდეოლოგიას ასწავლიდნენ.

**ჟურნალისტური გამოძიების შედეგებმა ბევრი ევროპელი პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე აღაშფოთა. ისინი ევროკავშირს, არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, მეტი კონტროლისკენ მოუწოდებენ. როგორც ცნობილი ფრანგული გამომცემა ლე-ფიგარო წერს, ფული, რომელიც ევროკავშირის ღირებულებების დამცველ ორგანიზაციებს შორის უნდა განაწილებულიყო, რეალურად, რადიკალურ ისლამისტურ ჯგუფებს ერგო. ისინი კი, ევროპის მთავარი მტრებია.**



**ნუგზარ (ბ) რუხაძე,**
**POSTV**



## ტრამპი აცხადებს, რომ ალკატრასის ციხეს ხელახლა გახსნის

**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აშშ-ის ცნობილი ყოფილი ციხის, ალკატრასის ხელახალი გახსნისა და გაფართოების ბრძანება გასცა.**

ქვეყნის ლიდერმა ალკატრასის ხელახალი გახსნა და გაფართოება აშშ-ის ციხეების ბიუროს, იუსტიციის დეპარტამენტს, FBI-სა და ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტს დაავალა.

**„ამერიკა სასტიკი და მოძალადე კრიმინალებისგან ზედმეტად დიდხანს იტანჯებოდა – საზოგადოების ნარჩენებისგან, რომლებიც ტკივილისა და ტანჯვის გარდა, ვერასდროს ვერაფერს შემატებენ ქვეყანას. წარსულში, როდესაც უფრო სერიოზული ერი ვიყავით, ყველაზე სახიფათო დამნაშავეთა იზოლაციის არ გვეშინოდა – სწორედ ასე უნდა იყოს ახლაც. მე ვაძლევ მითითებას ციხეების ბიუროს, იუსტიციის დეპარტამენტთან, FBI-თან და ქვეყნის უსაფრთხოების დეპარტამენტთან ერთად, ხელახლა გახსნან მნიშვნელოვნად გაფართოებული და აღდგენილი ალკატრასი, რათა ამერიკის ყველაზე დაუნდობელი და ძალადობრივი დამნაშავეები განთავსდნენ“** – განაცხადა **ტრამპმა.**

ცნობისთვის, ალკატრასი 1963 წელს ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობისა და მაღალი ხარჯების გამო დაიხურა – საკვები, საწვავი და სხვა რესურსების კუნძულზე მიწოდება მხოლოდ ნავით იყო შესაძლებელი. ახლა ალკატრასის ციხე ცნობილი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა.

## ტურისტული ნავის ჩაძირვის შედეგად ცხრა ადამიანი დაიღუპა

**ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, ძლიერი ქარის შედეგად ოთხი ტურისტული ნავი ამობრუნდა, რასაც, სულ მცირე, ცხრა ადამიანი ემსხვერპლა, 70 კი საავადმყოფოში გადაიყვანეს,** – ინფორმაციას **„ბიბისი“** ავრცელებს.



სახელმწიფო მედია იუწყება, რომ გუიჯოუს შტატის ქალაქ ციანქსიში, მდინარეში უეცარმა ძლიერმა ქარმა ნავები გადააბრუნა, რის შედეგადაც 84 ადამიანი წყალში ჩავარდა. 83 მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ერთი ადამიანი ამ დრომდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ადგილზე მიმდინარეობს სამძებრო-სამაშველო სამუშაოები. ინციდენტი მაშინ მოხდა, როდესაც ჩინეთი ერთკვირიანი პირველი მაისის დღესასწაულის დასასრულს აღნიშნავდა.

სახელმწიფო მედიის ცნობით, პრეზიდენტმა სი ძინპინმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს სხვა მსგავსი შემთხვევებიც მოხდა და უსაფრთხოების ზომების გაძლიერების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ჩინეთის ხელისუფლებას ასევე დაევალა, ტურისტული სეზონის პიკზე საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზომები გაამკაცროს.

## მოლაშქრეებმა ჩეხეთში ტყის განძს მიაგნეს

**მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში ორმა მოლაშქრემ ჩეხეთის ტყეში ოქროს მონეტებითა და ძვირფასი სამკაულებით სავსე სამალავი იპოვა.**

თავგადასავლების ორმა მაძიებელმა ძვირფასი ნივთების დაბინავებაზე იზრუნა და ადგილობრივ ხელისუფლებას დაუკავშირდა, რათა აღმოჩენის შესახებ ეცნობებინათ. განძში შემავალი 598 ოქროს მონეტა ოსმალეთის იმპერიის დროინდელია და საფრანგეთში, ბელგიასა და ავსტრია-უნგრეთშია მოჭრილი. ამის გარდა, საგან-

**მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასასრულიდან, საქართველოში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების იდეამ, რომელიც დემოკრატიული განვითარების ქვაკუთხედად იყო მიჩნეული.**

**მოგვიანებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში, სამოქალაქო საზოგადოება არასამთავრობო ორგანიზაციების სახით ჩამოყალიბდა, უცხოელი დონორების ყურადღება მიიქცია და მსუყე დაფინანსების მეშვეობით, პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის მოხდენის ეფექტური ბერკეტის ფუნქცია შეიძინა.**

# „მხნეობა შევინარჩუნოთ, ახალგაზრდობა გვიყურებს“!

## ძველი წყალტუბოელები ახალი წყალტუბოს ავანგარდში





**მადა ჭამაში მოდისო, ნათქვამია, რაც ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებზეა ზედგამოჭრილი.**

**სარწმუნო მონაცემებით, 2025 წლის იანვრის მდგომარეობით, საქართველოში 30 ათასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია ყოფილა რეგისტრირებული, მათ შორის, სკანდალურად ცნობილი USAID-ის შვილობილი 169 ორგანიზაცია!**

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამ საეჭვო რეპუტაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციათა მნიშვნელოვანი ნაწილი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობითაა დაკავებული და რევანშისტულად განწყობილი პოლიტიკური ოპოზიციის დანამატად არის გადაქცეული.

ასეთი არასახარბიელო რეალობის ფონზე, არსებობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან საქმიანი კოორდინაციით ახორციელებენ მნიშვნელოვან პროექტებს და პატივს მიაგებენ ღირსეულ, დამსახურებულ ადამიანებს, განსაკუთრებული წვლილი რომ აქვთ შეტანილი ქვეყნის განვითარებაში. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციაა „ძველი წყალტუბოელები“, რომელმაც მიზანდასახული საქმიანობის წყალობით მყარად დაიმკვიდრა ადგილი სამოქალაქო სექტორში.

არ არსებობს ხილული ძალა, მომწიფებულ იდეას რომ შეაჩერებსო, ნათქვამი აქვს ვიქტორ ჰიუგოს. 2019 წელს საზოგადოება „ძველი ქუთაისელების“ თავმჯდომარის ანზორ არველაძისა და ოთარ შენგელიას ინიციატივის საფუძველზე, დაიბადა კეთილშობილური იდეა, ანალოგიური ორგანიზაცია დაფუძნებულიყო წყალტუბოში, რასაც მოწონებით შეხვდნენ ბატონი ანზორის ნაცადი მეგობრები. შესაშური ოპერატიულობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი გელა ხუნწარიძის, ზამირ მაჩიტიძის, ოთარ შენგელიას, გიორგი ქორქაშვილის, მარინა ჭავჭანიძის, მანანა გელენიძის, ინგუშა აბესაძის, ბადრი კაკაბაძის, ზურაბ ჯანელიძის, რომან კუხალაშვილის, მურად სინაურიძის, რევაზ ასათიანის, ვაჟა ბალანჩივაძის, მურად კირთაძის, ავთანდილ ჯიბუტის, ჯეირან ომანაძის შემადგენლობით, განიხილეს ორგანიზაციული საკითხები და გადაიდგა პირველი ქმედითი ნაბიჯები. საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ გამგეობის თავმჯდომარედ არჩეული იქნა გელა ხუნწარიძე და განაწილდა ფუნქციები გამგეობის წევრებს შორის. მოგვიანებით, გამგეობის გადაწყვეტილებით, „ძველი წყალტუბოელების“ საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი კაკაბაძე, რომელმაც მის საკუთრებაში არსებული საოფისე ფართი დაუთმო ორგანიზაციას, უზრუნველყო სარემონტო სამუშაოები, შეიძინა კომპიუტერული ტექნიკა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე საკითხების სისტემატიზაციის მიზნით. უახლოესი პერიოდისთვის განზრახულია შენობის გათბობა-გაგრილების სისტემის მონტაჟი.

„ძველი წყალტუბოელების“ გამგეობის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ 2019 წლის ნოემბრიდან, გარკვეული პერიოდულობით ეწყობა შეხვედრები ასაკოვან, ღვაწლმოსილ ადამიანებთან, ხელოვნების, კულტურის, სასკოლო, სამედიცინო და სპორტული სამყაროს წარმომადგენლებთან, დასუფთავების სამსახურის წარჩინებულ მუშაკებთან, მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქეებთან, იმართება საიუბილეო საღამოები, პატივს მივაგებთ გარდაცვლილ თანაქალაქელებს...

მაგალითისთვის, შეგვიძლია გავიხსენოთ ფართო საზოგადოების ჩართულობით მოწყობილი შეხვედრა დამსახურებულ კალათბურთელთან და საზოგადო მოღვაწესთან ლეილა კვიციანთან, ქალაქის ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში, 2024 წლის 27 ნოემბერს, რომელმაც შესანიშნავად ჩაიარა.

საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ გამგეობის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობით, ქალაქ-კურორტის ცენტრალურ პარკში დაიდგა **ნიკო ლორთქიფანიძის, ოტია იოსელიანის და გალაკტიონ ტაბიძის ბიუსტები.** მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები და მიმდინარე წლის ბოლომდე დაიდგმება **ვაჟა-ფშაველას ბიუსტი,** რაც შექმნის შთამბეჭდავ კომპოზიციურ ერთობას არსებულ ლოკაციაზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ საზოგადოების აქტიური წევრები არიან არა მარტო ადგილობრივი, არამედ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და უცხოეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები, რომლებსაც ხელეწიფებათ, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ დაგეგმილი პროექტების პრაქტიკულ განხორციელებაში.

მოგეხსენებათ, ყველა საქმეში, რა მასშტაბისაც უნდა იყოს იგი, უაღრესად მნიშვნელოვანია ორგანიზაციული უზრუნველყოფის კომპონენტი. ამ თვალსაზრისით, შექებას იმსახურებს საზოგადოება „ძველი წყალტუბოელების“ აღმასრულებელი მდივანი მარინა ჭავჭანიძე, რომელთანაც სათანადო ინფორმაციის მოძიება და გადამოწმებაა შესაძლებელი.

გასულ წლებში გაწეული საქმიანობიდან გამომდინარე, არაერთი კეთილი სიტყვა მოგვისმენია საზოგადოების წარმომადგენლების მხრიდან, მაგრამ თავს უფლებას მივცემ, დავიმოწმო ცნობილი ექიმისა და პოეზიასთან წილნაყარი ღირსეული კაცის, წყალტუბოს საპატიო მოქალაქის, აწ გარდაცვლილი ტრისტან მიქაძის ლექსი სახელწოდებით, „ძველ წყალტუბოელებს“:

**სალამი თქვენდა, „ძველებო“,**
**მუდამ თქვენ გვერდით მიგულეთ,**
**მხნეობა შევინარჩუნოთ,**
**ახალგაზრდობა გვიყურებს.**
**გაუღენთილ-გაჯერებული**
**ცხოვრების აჯაფსანდალით,**
**თქვენი დანახვა მახარებს,**
**გული სალხენად მზად არის.**
**არდაბერება წყევლაა,**
**ტკბილი სიბერე – ნუგეში,**
**მთავარი არის არ მოხვდეთ**
**არაკაცობის წუმპეში...**
**აღმასვლა-განვითარების**
**უდავოდ თქვენ ხართ კომპასი,**
**პასიურობა, წუწუნი**
**არის ღალატის ტოლფასი!**

იმის გათვალისწინებით, რომ „ძველი წყალტუბოელების“ გამგეობას ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე, მაღალკვალიფიციური ადამიანები უდგანან სათავეში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა არაერთი შთამბეჭდავი პროექტის რეალიზაციის მომსწრე და მონაწილე გახდება უახლოეს თვალსაწიერში.

**ძველი წყალტუბოელები არც მომავალში გადაუხვევენ არჩეული გზიდან და კვლავინდებური შემართებით იქნებიან ახალი წყალტუბოს ავანგარდში!**

**მურთაზ კანკაძე**

---

ძურში შედის ათეულობით სამაჯური, თექვსმეტი პორტსიგარი, სავარცხელი და ჯაჭვზე მიმაგრებული გასაღები. განძის საერთო წონა 7 კილოგრამს შეადგენს. მონეტებზე, რომლებიც 1808-დან 1915 წლამდე პერიოდს მიეკუთვნება, არსებობს



რამდენიმე ნიშანი იმისა, რომ ისინი 1930-1940-იან წლებში ხელახლა მოიჭრა ყოფილი იუგოსლავიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიებზე, რომელშიც დღევანდელი ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი და სლოვენია შედიოდა.

წინასწარი შეფასებით, ნაპოვნი ნივთების მთლიანი ღირებულება დაახლოებით 340 000 აშშ დოლარს, ანუ დაახლოებით 300 000 ევროს შეადგენს. თუმცა, მოლაშქრეებმა განძის მითვისება არ ისურვეს. მათ საგანძური ქალაქ ჰრადეც კრალოვეს მუზეუმს გადასცეს, მაგრამ ხელცარიელები არც ისინი დარჩებიან – ჩეხეთის კანონმდებლობის შესაბამისად, ოქროს მონეტების ღირებულების 10%-იან საკომისიოს მიიღებენ.

როდესაც აღმოჩენის შესახებ გახდა ცნობილი, ბევრ ინტერნეტმომხმარებელს გაუჩნდა კითხვა, თუ ვის ხელში იყო ბოლოს ეს ქონება. ჰრადეც კრალოვეს მუზეუმის თანამშრომლების თქმით, საგანძური, შესაძლოა, ნაცისტებმა რეგიონის ანექსიის დროს, XX საუკუნის 30-იან წლებში გადამალეს.

---

## კანიბალი, რომლის ისტორიამაც მსოფლიო შეძრა

**ანდრეს ფილომენა მენდოზა სელისი, ანუ ცნობილი „ელ ჩინო“ მექსიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასტიკი სერიული მკვლელი და კანიბალია.**



74 წლის სელისი მეზობლებთან ნამდვილი ჯენტლმენივით იქცეოდა. ამიტომ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სელისი საკმაოდ ბნელ საიდუმლოს მალავდა. სელისი სერიული მკვლელი იყო. მან 30-მდე ადამიანი (უმეტესად ქალები) მოკლა. სელისი მათი ცხედრებისგან სხვადასხვა სახეობის კერძებს ამზადებდა და მიირთმევდა. სელისი თავს ოთახების გაქირავებით ირჩენდა. ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელმაც სელისის სახლი იქირავა, აღნიშნა, რომ სელისი მსხვერპლების ცხედრებისგან მომზადებული კერძებით მეზობლებსაც უმასპინძლდებოდა.

მამაკაცის თქმით, „ელ ჩინო“ მსხვერპლების სხეულის ნაწილებს ყიდდა და მათ გარეული ღორის ხორცად ასაღებდა. როდის გამჟღავნდა სელისის იდუმალი ცხოვრების დეტალები „ელ ჩინოს“ კრიმინალური საქმიანობის შესახებ, პოლიციამ მას შემდეგ შეიტყო, რაც მამაკაცის ყოფილი შეყვარებული, რეინა გონსალესი გაუჩინარდა. მეზობლები ამბობდნენ, რომ გოგონა ბოლოს „ელ ჩინოს“ სახლში იმყოფებოდა. გამოცემა Daily Mail-ის ცნობით, რეინას სელისთან დაშორება უნდოდა. თუმცა, რეინას ეს გადაწყვეტილება „ელ ჩინოს“ არ მოეწონა. ამიტომ გოგონას მკერდში დანა ჩაარტყა, შემდეგ კიდურები მოაჭრა და სხეულის ნაწილები პარკებში ჩადო. პოლიციამ რეიდი დაიწყო და „ელ ჩინოს“ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონება გაჩხრიკა. აღმოჩნდა, რომ „ელ ჩინო“ სახლში მსხვერპლებს აწამებდა, შემდეგ კი კლავდა.

პოლიციამ მის სახლში დანები, ანატომიის წიგნები, ადამიანის კანის ნაჭრებით მომზადებული ტორტი აღმოაჩინა. ასევე, ოფიცრებმა მიაგნეს ჩანთებს, რომლებშიც რეინას დანაწევრებული ცხედარი იპოვეს. დაპატიმრების შემდეგ, „ელ ჩინომ“ აღიარა, რომ ორი ათწლეულის განმავლობაში 30-მდე ქალი მოკლა და მათი ცხედრები შეჭამა.



„ელ ჩინო“ მკვლელობების შესახებ დეტალურ ჩანაწერებს აკეთებდა. Daily Mail-ის ცნობით, „ელ ჩინო“ თავის მკვლელობებს კამერითაც იღებდა. „ელ ჩინომ“ მსხვერპლების 4 000-ზე მეტი ძვალი სახლის სარდაფში დამარხა.

# მართლაც კარგი ამბები

## ძალოსნობა

**პერუ.** 17 და 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველო – 7 მედალი.

**ოქრო** – გოგა ჯაჯვანი: 20-წლამდელები, 89 კგ, ორჭიდი და აკვრა. **ვერცხლი** – დიმიტრი აბრალავა: 17-წლამდელები, 67 კგ, აკვრა. **ბრინჯაო** – გოგა ჯაჯვანი: 20-წლამდელები, ატაცი. გიგა ოდიკაძე: 20-წლამდელები, 61 კგ, ორჭიდი და ატაცი. ნანა ხორავა: 20-წლამდელები, 76 კგ, ატაცი. ჩვენი ნაკრებების მთავარი მწვრთნელები არიან: **ზურაბ ანთაური** (17-წლამდელები), **მალხაზ ლომთაძე** (20-წლამდელები) და **თემურ ჯანჯღავა** (ქალთა გუნდი).

## ფარიკაობა

**სეული (კორეა).** გრან პრის გათამაშება. ხმალი. **ბრინჯაო** – სანდრო ბაზაძე. ევროპის ორგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს ჩემპიონატების ორგზის პრიზიორმა მეოთხედფინალში სამგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონი მასპინძელი ოსან უკი დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალი უნგრელ კრისტიან რაბთან დათმო.



## ძიუდო

**დუშანბე.** ტაჯიკეთის გრანდ სლემი. **ბრინჯაო** – კოტე კაპანაძე (81 კგ). ჩვენმა გუნდმა შუა აზიაში ექსპერიმენტული შემადგენლობით იჭიდავა.

## რაგბი

**დიდი 10.** წინასწარი ფინალი. ბათუმი – რუსთავის ხარები 33:21. დიდ ფინალში 11 მაისს ზღვისპირელები ქუთაისში აიას ეთამაშებიან.

**ჩელენჯ კაპი.** ნახევარფინალი. ლიონი – რასინგი 29:15. სტუმრებს ლელო შეცვლაზე შესულმა და მოგვიანებით დაშავებულმა **გექა საღინაძემ** გაუტანა, ხოლო მასპინძელთა ლიდერმა **დავით ნინიაშვილმა** თავიდან ბოლომდე ითამაშა. ფრანგული კლუბი ფინალურ ბრძოლას ინგლისურ ბასთან 23 მაისს კარდიფში გამართავს.



**ნიკა ამაშუკელის გეგმები.** როგორც მოგეხსენებათ, ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ავტორიტეტიანმა ქართველმა არბიტრმა უკვე იმსაჯა ექვს ერზე, ჩემპიონთა თასზე, ჩელენჯ კაპზე, გაერთიანებულ ჩემპიონშიფსა და მსოფლიოს თასზე, 2 აგვისტოს კი სიდნეიში 30-ე კარიერულ ტესტს გაუძღვება: ავსტრალია – ბრიტანელი ლომები.

დავძენთ, რომ საკმაოდ დატვირთული საზაფხულო გრაფიკის მიხედვით, ჩვენს თანამემამულეს ოკეანის გაღმა-გამოღმა არაერთი პრესტიჟული ჯახის მომსახურება ანდეს როგორც რეფერის, ისე ასისტენტის ამპლუაში.

**ივლისის ტესტები.** გორჯღალოსანთა მატჩების მსაჯები. **5 ივლისი.** თბილისი. საქართველო – ირლანდია. **ანდრეა პიარდი** (იტალია). **19 ივლისი.** ნელსპრუიდი. სამხრეთ აფრიკა – საქართველო. **მეთიუ კარლი** (ინგლისი).

## ფეხბურთი

**გასულ** კვირაში **გურამ კაშია** ზედიზედ მეოთხედ გახდა სლოვაკეთის ჩემპიონი, ხოლო **სანდრო ალთუნაშვილი** ავსტრიის თასს დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ იქვე გამარჯვების გოლი გაიტანა ბუნდესლიგის ლიდერ შტურმის კაპიტანმა **ოთარ კიტეიშვილმა** ისევე, როგორც საფრანგეთის ლიგა 1-ის წაგებულ მატჩებში **ზურიკო დავითაშვილმა** და **ჟორჟ მიქაუტაძემ,** აგრეთვე რუმინეთში – **ბაჩანა არაბულმა,** ყაზახეთში – **გიორგი ზარიამ** და უზბეკეთში – **ელგუჯა ლობჯანიძემ.**

ამასობაში საქართველოში კიდევ ერთი ვარსკვლავთცვენა მოახლოვდა. საუბარია 16 მაისზე, როცა ინტერისა და მილანის შემდეგ ბარსელონას ლეგენდები გვეწვევიან და თბილისის დინამოს ვეტერანებს შეხვდებიან. უკვე ცნობილია, რომ მეტოქის ღირსებას 2005 წლის ოქროს ბურთის მფლობელი **რონალდინიო, მაქსველი, ლუდოვიკ ჟიული** და **ედგარ დავიდსი** დაიცავენ, დანარჩენ სტუმართა ვინაობა კი თანდათან დასახელდება. რაც შეეხება მასპინძლებს, ისინი მიხეილ მესხის სტადიონზე უკვე ყოველდღიურად ვარჯიშობენ და ვიმედოვნებთ, ღირსეულ ბრძოლას გაუმართავენ კატალონიურ გრანდს.

## ხელბურთი

**ხვალ 17 საათზე** ახალ სპორტის სასახლეში ყოფნა-არყოფნის მატჩია: საქართველო – საბერძნეთი, რომელსაც სავსე ტრიბუნებით უნდა შევხვდეთ და გამარჯვების დღეს ზედიზედ მეორედ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა მივუძღვნათ, საამისოდ კი მხოლოდ რევანში გვმართებს!

## ჩოგბურთი

**ორწლიანი** პაუზის შემდეგ **ეკატერინე გორგოძემ** კარიერაში მე-6, კერძოდ 50-ათასიანი ტურნირი სამშობლოში მოიგო. ამჯერად მან წარმატებას ლოპოტის კორტზე მიაღწია.

## სნუკერი

**24 წლის ჩჟაო შენდუნი** პირველი ჩინელია, ვინც სენსაციურად მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა.

აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ტალანტს 2023 წელს გარიგებულ შეხვედრებში მონაწილეობა დასდეს ბრალად და 20-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს, პროფესიული სტატუსის ჩამორთმევის გამო კი ტიტულის მოსახვეჭად დამატებით 4 ეტაპის დაძლევა და 1-თვიანი წინაღობის გადალახვა დასჭირდა. ფინალში სეზონის გმირმა 50 წლის უელსელი ლეგენდა **მარკ უილიამსი** დაამარცხა.



# საქართველო „ევროპის მედიათასის“ ვიცე-ჩემპიონია... რევანშებით!

**ამ დღეებში მოლდოვის დედაქალაქმა კიშინიოვმა ტრადიციულ საფეხბურთო ტურნირს – „ევროპის მედიათასი – 2025“-ს უმასპინძლა, რომელშიც მასპინძელთა, საქართველოს, რუმინეთის, აზერბაიჯანის, პოლონეთის, სომხეთის, ისრაელისა და უნგრეთის ჟურნალისტთა ნაკრებმა გუნდებმა მიიღეს მონაწილეობა.**



შარშან ჩვენი გუნდი ამ ტურნირზე ბრინჯაოს მედლების მფლობელი გახდა და წლევანდელი მიზანიც, სულ მცირე, ამ შედეგის გაუმჯობესება იყო. ჯგუფში საქართველო მოხვდა მოქმედ ჩემპიონ აზერბაიჯანთან(ვისთანაც გასულ წელს ნახევარფინალში დავმარცხდით), ისრაელთან და უნგრეთთან ერთად.

ტურნირის სასტარტო შეხვედრაშივე ჩემპიონთან მოგვიწია დაპირისპირება და პირველი რევანშიც შედგა: 5:3 ჩვენი ნაკრების სასარგებლოდ. მომდევნო ორი შეხვედრაც ჩვენმა გუნდმა მოიგო(5:4 უნგრეთთან და 5:3 ისრაელთან), რისი წყალობითაც ნახევარფინალში მაქსიმალური, 9-ქულიანი შედეგით გავედით, სადაც ჩვენი მეტოქე მასპინძელი მოლდოვა იყო. აქ უკვე მეორე რევანშის შანსი მოგვეცა: 2024 წელს “კოტე მახარაძის საერთაშორისო მედიათასის“ ფინალში სწორედ მოლდოვასთან დავმარცხდით პენალტების დრამატულ სერიაში. ამჯერადაც, დრამატურგიით გამორჩეულ შეხვედრაში(ჯერ მოლდოველები იგებდნენ 2:0-ს და 3:1-ს, შემდეგ საქართველო დაწინაურდა 4:3), ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა, 4:4 დასრულდა და ისევ პენალტების სერია დაინიშნა, რომელშიც უფრო ზუსტი ამჯერად ქართველები ვიყავით. აღსანიშნავია, რომ ჩვენმა მეკარემ **გეგი კიკაბიძემ** ჯგუფის მეორე მატჩში ბარძაყის კუნთი დაიზიანა და მთელი ტურნირის ჩატარება, მათ შორის, პენალტების სერიაში გადამწყვეტი 7-მეტრიანის მოგერიება ტრავმირებულს მოუწია.

ფინალში რუმინეთის წინააღმდეგ ძალიან ცუდი სტარტი გამოგვივიდა. მეტოქემ სწრაფი გოლების გატანა მოახერხა, კომფორტული 3-ბურთიანი უპირატესობა მიიღო და დიდი მცდელობების მიუხედავად, მდგომარეობის გამოსწორება ვეღარ შევძელით. რუმინელებმა 7:4 გაიმარჯვეს და პირველი ადგილი დაიკავეს, საქართველოს მედიანაკრები კი ვიცე-ჩემპიონის ტიტულს დასჯერდა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ბომბარდირი 9 გატანილი გოლით „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სპორტული ჟურნალისტი **ცოტნე ქინქლაძე** გახდა, ტურნირის საუკეთესო მეკარედ კი ორგანიზატორებმა ერთხმად დაასახელეს „ნომად სპორტის“ დამფუძნებელი **გეგი კიკაბიძე.**

**„ჩვენი მიზანი – გაგვეუმჯობესებინა წინა წლის შედეგი, მიღწეულია. შარშანდელთან შედარებით 1 პოზიციით მაღლა ავიწიეთ და ვერცხლის მედლები მოვიპოვეთ. თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ იყო ჩვენი მაქსიმუმი და ვეცდებით, მომავალ წელს უკვე ტურნირის გამარჯვებულის სტატუსი მივიღოთ. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ აზერბაიჯანმა და სომხეთმა ჯგუფური ეტაპის დაძლევა ვერ მოახერხეს, რის გამოც რეგიონის პრესტიჟის დაცვის ვალდებულებაც ერთპიროვნულად დაგვეკისრა და ვფიქრობ, ამ ამოცანასაც თავი კარგად გავართვით“ – განგვიცხადა კიშინიოვში ქართული მისიის ხელმძღვანელმა, საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიხეილ აბაიშვილმა.**

მადლობას ვუხდით საქართველოს სპორტის სამინისტროს და პირადად მინისტრს, ბატონ **შალვა გოგოლაძეს,** ვისი მხარდაჭერითაც განხორციელდა საქართველოს მედიანაკრების მოლდოვას ტურნირზე წარგზავნა.



# ენვერ ნიჟარაძე



# პოეტი, მოღვაწე და პიროვნება...

## ენვერ ნიჟარაძე

ბერლინში გარდაიცვალა გამოჩენილი პოეტი, მკვლევარი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ენვერ ნიჟარაძე.

იგი სიტყვით, საქმით, პოეტური მოღვაწეობით მრავალი წელი ემსახურა თავის ქვეყანას, მშობლიურ მწერლობას, მის წინსვლას.

დაიბადა 1946 წელს სვანეთში, დაბა ლენტეხში.

საშუალო სკოლა დაამთავრა ქუთაისში.

სკოლაში სწავლის პერიოდში სპორტით იყო გატაცებული და ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ 18 წლისა უკვე უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდში ცენტრფორვარდად თამაშობდა. მაგრამ მძიმე ტრავმის გამო მალე ჩამოსცილდა სპორტს.

ამის შემდეგ სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1977 წელს დაამთავრა.

ენვერ ნიჟარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „განთიადში", მწერალთა კავშირის ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროში, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ახალგაზრდა მწერლების ფორუმებსა და შეკრებებზე. წერდა ლექსებს, პოემებს, ნარკვევებს, ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ჟურნალ „დილას" მთავარ რედაქტორად (1982-1988), მწერალთა კავშირის მდივნად (1988-1991); ბოლო წლებში აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, როგორც „აკადემიის უწყებების" რედაქტორი.

1991 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ენვერ ნიჟარაძე დანიშნა საქართველოს მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ხუნტის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობაში, რის გამოც 1995 წელს იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო.

ამის შემდეგ ბერლინში ცხოვრობდა, სადაც გერმანიის მთავრობამ მას პოლიტიკური დევნილის სტატუსი მიანიჭა და შეუქმნა შემოქმედებითი მუშაობის პირობები.

ენვერ ნიჟარაძე მრავალი პოეტური კრებულის ავტორია, რომელთაგან აღსანიშნავია „მარადიული დღესასწაული" (1977), „მაღალი აფრა" (1979), „ვარსკვლავებს ქალაქის თავზე" (1981), „ხე მსხმოიარე" (1989), „მზე ამოვა ქართველთა" (1990) და სხვ.

ცნობილი და აღიარებულია მისი ლექსები „ჰამლეტი ჯინსით", „რა სიმშვიდეა, ქალბატონო", „ქართული ანბანი", „გაახილე თვალები, სიყვარულო", „რა ხანმოკლეა მზე – დღის ნათელი", „ჩემი ცხოვრების წმინდა სათავე"...

ზოგი მათგანი პოპულარულ სიმღერად იქცა.

მან თავის პოეზიაში ტრადიციონალიზმი მოარიგა ავანგარდისტულ ტენდენციებთან, იმ სიახლეებთან, რაც დრომ შესძინა მწერლობას.

ენვერ ნიჟარაძე ლიტერატურის ღრმა მცოდნე იყო, ზეპირად იცოდა უამრავი ლექსი, იცნობდა სამეცნიერო ლიტერატურას. ამიტომ ემიგრაციის წლებში დაინტერესდა და შეისწავლა ემიგრანტი მწერლის, გამოჩენილი რომანისტის, ესეისტისა და მოღვაწის გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება, რომელიც ბერლინში ცხოვრობდა.

ამის შედეგად დაწერა მონუმენტური 800-გვერდიანი ნაშრომი „გრიგოლ (აველონ) რობაქიძე", რომელიც ქართველ მკითხველს აცნობს უამრავ უცნობ მასალას.

ასევე შეისწავლა ფრანგი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ანდრე ჟიდის წიგნი საბჭოთა კავშირზე, რომელსაც მკვეთრად უარყოფითად ეკიდებოდა საბჭოთა ხელისუფლება.

ენვერ ნიჟარაძე სიტყვით და საქმით იცავდა და ემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის, საქართველოს თავისუფლების იდეას. პატრიოტიკა იყო მისი შემოქმედების მთავარი ნერვი, მაგრამ მოხდა ისე, რომ მთელი 30 წელი უცხოეთში იცხოვრა და იქვე აღესრულა.

კიდევ ერთი გამოჩენილი შემოქმედი და დიდებული მოღვაწე, ურყევი ბედის ადამიანი შეუერთდა ზეციურ საუფლოს.

ნათელი და დიდება ენვერ ნიჟარაძის სახელს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ენვერ ნიჟარაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა თხემით ტერფამდე დახვეწილი ინტელიგენტი და შემოქმედი, რომელიც ათწლეულების განმავლობაში ღირსეულად ატარებდა ქართველი მწერლის საპატიო სახელს და თავისი წვლილიც შეჰქონდა ქართული პოეზიის წინსვლაში.

ენვერ ნიჟარაძე დაიბადა 1946 წლის 2 დეკემბერს დაბა ლენტეხში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1977 წელს.

წლების განმავლობაში ენვერ ნიჟარაძე მუშაობდა ჟურნალ „დილას" მთავარ რედაქტორად, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ყველგან სიკეთისა და კეთილშობილების იდეალებს ამკვიდრებდა.

ენვერ ნიჟარაძე თანამედროვე ქართული პოეზიის გამორჩეულად საინტერესო წარმომადგენელი იყო. მისი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „მარადიული დღესასწაული", „მაღალი აფრა", „ვარსკვლავები ქალაქის თავზე", „ლექსები", „ხე მსხმოიარე", „მზე ამოვა ქართველთა", „ასიმეტრიული პოეზია" შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, რადგანაც ამ კრებულებიდან მათ ესაუბრებოდა საქართველოს ჭეშმარიტი მეციხოვნე, რომელსაც შეეძლო ამაყად გამოეცხადებინა, საქართველო ეს მე ვარო. მისი ლექსები ციხე-კოშკებად და გუმბათებად მაღლდებოდა, იმ ეკლესია-მონასტრებად, სადაც დიდი დავითი და თამარი ლოცულობდნენ და ჩალისფერი დროშების ფრიალში აელვარებდნენ მშობელი მიწის დასაცავად გაშიშვლებულ სატევარებს. პოეტს სრულად ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ სამშობლო ერთია და მას პერანგივით არ იცვლიან.

ამავე დროს ენვერ ნიჟარაძე უნაზესი ლირიკოსი იყო და არაერთი შთამბეჭდავი ლექსი უძღვნა სიყვარულს, ამ უმშვენიერეს გრძნობას...

ენვერ ნიჟარაძემ შესანიშნავად თარგმნა ებრაული პოეზიის არაერთი წარმომადგენელი.

მან დიდი ღვაწლი დასდო გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას. სამაგიდო წიგნებად იქცა მისი გამოკვლევები „შტეფან ცვაიგისა და გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობა" და „გრიგოლ (ავლონ) რობაქიძე".

მის კალამს ეკუთვნოდა წიგნი „ზვიად გამსახურდია".

ენვერ ნიჟარაძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი იყო და თავგანწირვით იბრძოდა მშობელი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ენვერ ნიჟარაძე – პოეტი, მოღვაწე, პიროვნება დიდხანს ემახსოვრებათ მის მეგობარ ქართველ მწერლებს, მისი ელვარე, კაშკაშა შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**



# მართლაც საქვეყნო დირიჟორი და პიანისტი...

## ვახტანგ მაჭავარიანი

სხვადასხვა წლებში ვახტანგ მაჭავარიანი თანამშრომლობდა მსოფლიოს 80-ზე მეტ სიმფონიურ ორკესტრთან და 25-ზე მეტ საოპერო თეატრთან. მათ შორისაა ლონდონის სამეფო ფილარმონიის ორკესტრი, საფრანგეთის და ბელგიის ნაციონალური სიმფონიური ორკესტრები, გერმანიის წამყვანი სიმფონიური და რადიოს სიმფონიური ორკესტრები, შტუტგარტის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ისრაელის სიმფონიური ორკესტრი, თურქეთის საპრეზიდენტო და იზმირის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრები, სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრი, მოსკოვის დიდი თეატრი. იყო ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, შემდეგ კი სამხატვრო ხელმძღვანელი. 2018 წლიდან იყო ლიანა ისაკაძის მიერ დაფუძნებული ფესტივალის, „ღამის სერენადების" მთავარი დირიჟორი.

მიღებული აქვს ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენი და მინიჭებული აქვს ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის საპატიო დირიჟორის წოდება.

ვახტანგ მაჭავარიანის გარდაცვალება დიდი დანაკლისია საქართველოს მუსიკალური საზოგადოებისთვის. ვუსამძიმრებთ ვახტანგ მაჭავარიანის ოჯახის წევრებს, კოლეგებს და მეგობრებს.

**საქართველოს კულტურის სამინისტრო**

# შსს–მ 5 ნარკორეალიზატორი დააკავა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკორეალიზაციის ბრალდებით 5 პირი დააკავეს.**

შსს-ს ინფორმაციით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და გასაღების ბრალდებით, დაკავებული არიან 1996 წელს დაბადებული გ.მ., 1981 წელს დაბადებული დ.ვ., იორდანიის მოქალაქე 2001 წელს დაბადებული ბ.ა. და წარსულში ნასამართლევი პირები: 1981 წელს დაბადებული რ.მ., 1991 წელს დაბადებული ჟ.დ. დანაშაულები 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ბიზნესმენი ნიკოლოზ გეთიაშვილი დაჭრეს



**ბიზნესმენი და გურჯაანის მერის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ გეთიაშვილი დაჭრეს. შემთხვევა გურჯაანში ღამით მოხდა.**

ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა, ბიზნესმენს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. გეთიაშვილი გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალშია" გადაყვანილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. გეთიაშვილს ორი ჭრილობა აქვს მიყენებული. **„ცეცხლნასროლი ჭრილობები აქვს მუხლსა და ხელზე. ქირურგიული ჩარევა უკვე განხორციელდა, დაყოვნებულია საავადმყოფოში და ჯერ ვერ გეტყვით, რამდენ ხანს იქნება საჭირო მისი აქ ყოფნა",** – განაცხადა გურჯაანის „ჯეო ჰოსპიტალის" მენეჯერმა შათირიშვილმა „პრაიმტაიმთან". ბიზნესმენ გეთიაშვილს საკუთარ სადარბაზოსთან დახვდნენ. იგი გურჯაანის მერის ყოფილი მოადგილეა და ამჟამად ტექნიკის მაღაზია და კვების ობიექტები აქვს.



ვულოცავთ!

ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ მომარაგების სამსახურის უფროსს

# თამაზ ცქიტიშვილს

ვულოცავთ დაბადებიდან 83-ე წლისთავს. ღმერთმა მშვიდობა, ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ბედნიერება არ მოგაკლოს.

მეგობრების და კოლეგების სახელით:

ჯემალ ქარაზანიშვილი, ტატო ლასხიშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, პაატა ნაცვლიშვილი, თამაზ ცქიტიშვილი, ბექან ლაღიძე, სერგო ნათიძე, კოსტა ცხადაძე, ბუხუტი ტაბატაძე, ნუკრი კეკუა.

# ხელნაწერი დადიანის კუთვნილებაა



**კულტურის სამინისტრომ, ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის კოლექციისთვის XVIII საუკუნის უნიკალური ქართული ხელნაწერი „იამბიკონი და იკოსნი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“ შეიძინა.**

საქართველოს კულტურის სამინისტრომ ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის კოლექციისთვის XVIII საუკუნის უნიკალური ქართული ხელნაწერი „იამბიკონი და იკოსნი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“ შეიძინა. ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, ხელოვნების სასახლის ხელნაწერთა და საარქივო დოკუმენტთა ფონდში განთავსებული ხელნაწერის პრეზენტაციას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.

რუხაძის თქმით, უნიკალური კულტურის დაცვისთვის ყველაფერი გაკეთდება. **„ეს ხელნაწერი ადასტურებს ქართული ხელოვნების და კულტურის უნიკალურობას და უდიდეს მნიშვნელობას. ყველაფერს გავაკეთებთ შემდგომშიც, რომ ჩვენი უნიკალური კულტურა იყოს შესაბამისად დაცული და მოვლილი“**, – განაცხადა თინათინ რუხაძემ.

იამბიკო ძველ ქართულ ჰიმნოგრაფიაში X საუკუნიდანაა ცნობილი. ის იოანე მტბევარის, იოანე მინჩხის, მიქაელ მოდრეკილის, ეზრასა და სხვათა შემოქმედებაში გვხვდება. ქართული იამბიკოს შესანიშნავი ნიმუშია მეფე დემეტრეს (1125-1159) ცნობილი საგალობლის („შენ ხარ ვენახი“) ბოლო ხუთტაეპიანი სტროფი.

ხელნაწერის პირველ გვერდზე მინაწერში აღნიშნულია, რომ იგი ქართველი ისტორიკოსის, მწერლის, მსაჯულის და დიპლომატის, გენერალ-მაიორ ნიკო დადიანის კუთვნილებაა. იამბიკონის ბოლო გვერდი ისტორიული შინაარსის მი-



ნაწერებს ეკუთვნის, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილი გაბრიელ ქიქოძის მოხსენიება.

ხელნაწერის ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად დიდია მისი მხატვრული ღირებულება, იამბიკონის თითქმის ყველა გვერდი სინგურით შესრულებული საზედაო ასოებითაა გაფორმებული, რაც წიგნს ქართული კალიგრაფიული ხელოვნების განსაკუთრებულ ძეგლად წარმოაჩენს.



# მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე იუბილარია

**მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ 84 წლის იუბილე საზეიმოდ აღნიშნა.**

საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ეროვნულ სასახლეში გამოფენა და კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ეროვნული სასახლის სამხატვრო ხელმძღვანელი **დათუნა ალადაშვილი, გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის სიმებიანი კვარტეტი, ეროვნული სასახლის ახალგაზრდული კაპელა** (ეროვნული სასახლის მუსიკალური მიმართულების ხელმძღვანელი ომარ ბურდული); **„მზიურის სკოლა“** (ხელმძღვანელი ქეთი გაბისიანი); ფოლკლორული ანსამბლი **„დარიალი“** (ხელმძღვანელი გიორგი მკერვალიძე), ვოკალის მოსამზადებელი ჯგუფიდან **სიდონია იაკობაძე** (პედაგოგი მანანა ბალამწარაშვილი).

ღონისძიებას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე მაკა გურგენიძე, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა დაესწრნენ.

# საერთაშორისო „სააღდგომო ფესტივალი“ თელავში



**თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში XX საერთაშორისო „სააღდგომო ფესტივალი“ გაიმართა.**

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სააღდგომო ფესტივალს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ. ფესტივალში მონაწილეობდნენ: სოპრანო ნანა ქავთარაშვილი, ტენორი – პაოლო ლარდიცონე და კონცერტმაისტერი – ირინა აივაზოვა. „სააღდგომო ფესტივალი“ ტრადიციულ ხასიათს ატარებს და თელავში უკვე მერვედ ჩატარდა.

ფესტივალის დამფუძნებელია მანანა ხვედელიძე. ფესტივალი საქართველოს კულტურის სამინისტროს, თბილისის მერიის, იტალიის საელჩოს, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და რეგიონის რვავე მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით იმართება.

# კონსერვატორიელთა წარმატება

**მაისის დასაწყისში თბილისში ბენიამინო ჯილის სახელობის საერთაშორისო კუნკურსი /ფესტივალი გაიმართა, სადაც გრან პრი კონსერვატორიის კურსდამთავრებულმა – ერეკლე გურგენიძემ (ბარიტონი) მოიპოვა.**




თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინფორმაციით, კონკურსზე მას თანხლებას უწევდა კონსერვატორიის კონცერტმაისტერი – ხათუნა ლოლაძე.

* * *




**პორტუგალიაში გამართულ ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსში (Cascais International Vocal Competition) პირველი პრემიის მფლობელი და კონკურსის გამარჯვებული გახდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის კურსდამთავრებული ანა თეთრუაშვილი.**

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ინფორმაციით, მას ასევე გადაეცა ტერეზა ბერგანცას სპეციალური პრიზი. კონკურსის 340 მონაწილიდან ფინალში გავიდა მხოლოდ 8 მონაწილე. ანა თეთრუაშვილი ნატალია ვოლჩენკოს კლასში სწავლობდა.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 9 მაისს